პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 37-ე წელი
№ 146 (10540)

ქვირა, 24 ივნისი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე

დღეს საბჭოთა ხალხი, მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ თავიანთ საყვარელ, ტრადიციულ დღესასწაულს — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს.

წელს ეს დღესასწაული აღინიშნება განსაკუთრებული პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში. ჩვენი ქვეყნის მშრომელები მთელი თავიანთი ცოდნისა და ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დღითი-დღე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში. მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის მეოხებით შემდგომ განვითარდა და განმტკიცდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მთელ თავიანთ შემოქმედებითს ძალებს ახმარენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას, კანონიერი სიამაყის გრძნობით აღავსებს იმის შეგნება, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული საშინაო და საგარეო პოლიტიკის მეოხებით უმაგალითოდ გაიზარდა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი, რომ სხვადასხვა წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი სულ უფრო მეტ აღიარებასა და მხარდაჭერას პოულობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეებში, რომ ამ პოლიტიკის მეოხებით მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა შორის ნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

თანმიმდევრულად ახორციელებენ და იცავენ რა მშვიდობისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის ლენინურ პოლიტიკას, კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი არ ივიწყებენ იმას, რომ რეაქციული ძალები ვერ ურიგდებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და კვლავ ემზადებიან ახალი ომისათვის. საბჭოთა ხალხი არ დადუნებს სიფხიზლეს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შემდგომ განმტკიცოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

საბჭოთა საჰაერო ფლოტის ზრდა და დავაჟკაცება განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის სახელთან, საბჭოთა სახელმწიფოს ზრდა-განმტკიცებასთან, მთელი ჩვენი მრეწველობის, სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის განვითარებასთან.

ომამდელი ხუთწლედების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი საავიაციო მრეწველობა, გაიზარდა ნიჭიერი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორების, ბრიგადავების შესანიშნავი კადრები, საჰაერო ფლოტი აღიჭურვა პირველხარისხოვანი საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავებით.

დიდ სამამულო ომი მთელი ჩვენი ხალხის სულიერი და ფიზიკური ძალების, საბჭოთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების სიმტკიცის მკაცრი გამოცდა იყო. ომის მძიმე დღეებში საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ფლოტის მებრძოლებმა მამაცობისა და გმირობის უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს. მტრის წინააღმდეგ საბჭოთა მფრინავების თავგანწირული ბრძოლა, მათი დუგმირული შემართება მოწინავე კაცობრიობის განცვიფრებასა და აღტაცებას იწვევდა. დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სამხედრო-საჰაერო ფლოტის რიგებში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილების მხარდამხარ მამაცურად იბრძოდნენ ქართველი ხალხის შვილებიც.

ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს მამაცი საბჭოთა შეკავრდნების ნ. გასტელოს, ვ. ტალალიხინის, ჭ. ბენდელიანის, ა. წურწუმიას და ათასობით სხვების სახელებს, რომლებმაც თავიანთი მგზნებარე სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს.

საბჭოთა სახელმწიფოს მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა, მათ შორის სამხედრო-საჰაერო ფლოტის მებრძოლებმა, ბოლომდე პირნათლად მოიხადეს ვალი მშობელი ხალხის წინაშე, დაამსხვრიეს ფაშისტური სამხედრო მანქანა, დაიცვეს სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ფაშისტური დამონების საფრთხისაგან იხსნეს ევროპისა და აზიის ხალხები.

იმ დიდი დამსახურების აღსანიშნავად, რაც საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ფლოტს მიუძღვის ფაშისტური გერმანიის დამარცხების საქმეში, მრავალ მფრინავს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა, ათასობით მფრინავი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. მათ შორის ბევრია ქართველი ხალხის შვილებიც.

ომის დამთავრების შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით, მთელი საბჭოთა ხალხის დაძაბული შეთანხმებითი შრომის მეოხებით ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო განმტკიცდა და გაიზარდა, მძლავრად განვითარდა სოციალისტური სახალხო მეურნეობა, შემდგომ ამაღლდა საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე, თავიანთი ხარისხითა და შეიარაღებით კიდევ უფრო შორს წავიდნენ ჩვენი შეიარაღებული ძალები, სამხედრო-საჰაერო ფლოტი. საბჭოთა საავიაციო მრეწველობა პირველხარისხოვან საბრძოლო და სატრანსპორტო საჰაერო მანქანებს უშვებს. ავიაციამ კიდევ უფრო ფართო გამოყენება ჰპოვა სახალხო მეურნეობაში.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სხვა ხალხთა პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა მფრინავები მტკიცედ დგანან საბჭოთა საჰაერო საზღვრების უშიშროების საგუშაგოზე, ხალხთა შორის მშვიდობის სადარაჯოზე, აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1956 წლის 24 ივნისი — № 96 — ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო მფრინავებო და შტურმანებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, საჰაერო მსროლელებო და რადისტებო, ავიაციის მექანიკოსებო და მოტორისტებო, საავიაციო მრეწველობის მუშაკებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს და აღნიშნავენ ახალ წარმატებებს ჩვენი სახელოვანი ავიაციის განვითარებაში.

მოგესალმებით და მოგილოცავთ საჰაერო ფლოტის დღეს.

ვუსურვებ ავიაციის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას კიდევ მეტ წარმატებებს ახალი საავიაციო ტექნიკისა და შეიარაღების დაუფლებაში, მხედრული ოსტატობის გაუმჯობესებისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავებს ვუსურვებ შემდგომ წარმატებას თანამედროვე საავიაციო ტექნიკის ათვისებაში, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენებს — ახალი საავიაციო რეკორდების დამყარებას, საავიაციო მრეწველობის კონსტრუქტორებსა და ყველა მუშაკს — კიდევ უფრო თვალსაჩინო მიღწევებს პირველხარისხოვანი საბჭოთა თვითმფრინავების შექმნაში.

საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 1956 წლის 24 ივნისს, 20 საარტილერიო ზალპით მიცემულ იქნას სალუტი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში.

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც საჰაერო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყოველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი,
საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საჰაერო საქმეთა მინისტრი ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი

23 ივნისს ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრნენ იემენის ფინანსთა მინისტრი ელ-ყადი აბდურაჰმან ელ-საიალი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და სახელმწიფო მინისტრი ელ-ყადი მოჰამედ ელ-ამრი.

საუბარი მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა მოლაპარაკება იემენის მემკვიდრე პრინცთან, პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრთან ემირ სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრთან

22 ივნისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მ. გ. პერვუხინის მოლაპარაკება იემენის მემკვიდრე პრინცთან, პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრთან ემირ სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრთან.

მოლაპარაკებას, რომელიც მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, იემენის მხრივ დაესწრნენ: იემენის სახელმწიფო მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ელ-ყადი მოჰამედ ელ-ამრი, იემენის სახელმწიფო მინისტრი და ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ელ-ყადი აბდურაჰმან ელ-საიალი, იემენის მთავრობის პოლიტიკური მრჩეველი დოქტორი ჰასან ბაღდადი, იემენის [illegible] ნიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აბდურაჰმან ელ-ბაიდანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებას დაესწრნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ა. ბორისოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. ა. სმელოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე დ. ს. სოლოდი. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობას იუგოსლავიის დოკუმენტალური მასალები, რომლებიც ჰიტლერელებმა გაზიდეს გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის დროს და რომლებიც გადმოტანილ იქნა სსრ კავშირში როგორც საბჭოთა არმიის ნადავლი.

გადასაცემ საარქივო მასალებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისათვის და მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენენ იუგოსლავიის ისტორიის შესასწავლად 1900-1941 წლების პერიოდში.

ეს მასალები შეიცავენ ევროპის ქვეყნებში იუგოსლავიის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა, იუგოსლავიის ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებათა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალ დოკუმენტს.

კიევიდან გაემგზავრა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო

22 ივნისს პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო და მისი თანმხლები პირები სპეციალური მატარებლით გაემგზავრნენ კიევიდან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

უკრაინის დედაქალაქის მშრომელებმა, რომლებიც მეგობრობის ღრმა გრძნობებით არიან გამსჭვალული მოძმე იუგოსლავი ხალხისადმი, განსაკუთრებით გულთბილად გააცილეს ძვირფასი სტუმრები.

ვაგზალში, რომელიც მორთული იყო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმებით, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოსა და მისი თანმხლები პირების გასაცილებლად მოვიდნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო, ამხანაგები მ. ს. გრეჩუხა, ნ. ტ. კალჩენკო, ა. ი. კირიჩენკო, ი. დ. ნაზარენკო, ი. ს. სემენი, ვ. ი. ჩუიკოვი, ო. ი. ივაშჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. პ. ონიშჩენკო, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. კოვპაკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ნ. ზლენკო, უკრაინის სსრ მინისტრები, გენერლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დიპუტატები, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რესპუბლიკური, საოლქო და საქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, კიევის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

ვაგზალზეა კიევის სამხედრო ოლქის ჯარების საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი მისცა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს. გაისმა იუგოსლავიის, საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ჰიმნები. მარშალმა იოსიპ ბროზ ტიტომ, დ. ს. კოროტჩენკომ და საბჭოთა კავშირის მარშალმა ვ. ი. ჩუიკოვმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის ფრონტს. უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ს. კოროტჩენკომ მიმავალ სტუმრებს მიმართა სიტყვით:

ძვირფასო ამხანაგო პრეზიდენტო!

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

გაცილებთ რა სამშობლოში, ჩვენს მეგობარ იუგოსლავიაში, მე მიხდა ერთხელ კიდევ კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ სიმპათიისა და სტუმართმოყვარეობის მხურვალე გრძნობები, რაც უკრაინის მშრომელებმა გამოიჩინეს თქვენს მიმართ, ცხადყოფს მათს გულწრფელ მეგობრობას სახელოვანი იუგოსლავი ხალხისადმი, რომელიც იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს სოციალიზმის მშენებლობას.

ნება მიბოძეთ უკრაინელი ხალხის სახელით სერბიის, ხორვატიის, სლოვენიის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, მაკედონიისა და ჩერნოგორიის ხალხებს — მთელ გმირ იუგოსლავ ხალხს ვუსურვო შემდგომი წარმატებანი ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის განვითარებასა და აყვავებაში.

ნახვამდის, ძვირფასო ამხანაგო პრეზიდენტო!

ნახვამდის, ძვირფასო ამხანაგებო!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მარადიულ და ურღვევ მეგობრობას!

მიკროფონთან მიდის ამხანაგი ტიტო. იგი ამბობს:

ძვირფასო ამხანაგებო და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელებო!

ქალაქ კიევის ძვირფასო მოქალაქენო და საბჭოთა უკრაინის ხალხო!

ნება მიბოძეთ იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციის სახელით მადლობა მოგახსენოთ თქვენი გულწრფელი, გულითადი დამოკიდებულებისათვის ჩვენდამი აქ ჩვენი ხანმოკლე ყოფნის დროს.

ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ და მივდივართ თქვენგან ჩვენს ქვეყანაში — იუგოსლავიაში იმ ღრმა შთაბეჭდილებით, რაც აქ განვიცადეთ. ჩვენ ვნახეთ, რომ უკრაინელი ხალხი თავდადებით და სიამაყით აშენებს თავის ახალ ცხოვრებას. ჩვენ ვნახეთ, რომ უკრაინელი ხალხი გულწრფელი ძმური გრძნობებით არის გამსჭვალული იუგოსლავიის ხალხებისადმი.

დარწმუნებული იყავით, ძვირფასო მეგობრებო, რომ როდესაც ჩვენს სამშობლოში დავბრუნდებით, ვეცდებით ვუამბოთ ყოველივე ეს ჩვენს ხალხს. რა თქმა უნდა, ძნელია სიტყვებით გამოხატო ყოველივე ის, რაც ჩვენ აქ ვნახეთ. მაგრამ გარწმუნებთ, რომ იუგოსლავი ხალხი თქვენი საუკეთესო მეგობარია, რომ იუგოსლავი ხალხი დიდი სიმპათიით არის გამსჭვალული უკრაინელი ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს თქვენს შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში, თქვენი დიდი მომავლის მშენებლობაში.

ჩვენ, რომლებიც აქ ვიყავით როგორც თქვენი სტუმრები, ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ ამ მშვენიერ საათებს. ვიცდებით მუდამ გვახსოვდეს ეს და ამ შეხვედრის სულისკვეთებით ვიმუშაოთ ჩვენი ერთობლივი მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხებს შორის მეგობრობას!

ნახვამდის, ჩვენო ძვირფასო ამხანაგებო!

რამდენიმე წუთიღა დარჩა მატარებლის გასვლამდე. ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო და მისი თანმხლები პირები გამოეთხოვნენ უკრაინის კომუნისტური პარტიისა და უკრაინის სსრ მთავრობის ხელმძღვანელებს და წავიდნენ ვაგონებისაკენ.

იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ფირიუბინი.

საბჭოთა კავშირის საზღვრამდე იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციას ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-5 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი კ. დ. ლევიჩკინი.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს საზღვრამდე ახლავან აგრეთვე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი, სსრ კავშირში იუგოსლავიის საელჩოს მრჩეველი ფილიპე ბაბიჩი, იუგოსლავიის სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ატაშე სსრ კავშირში ბოგდან მამულა.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ი. ბროზ ტიტოს დეპეშა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისადმი

ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

თქვენი დიდი და მშვენიერი ქვეყნიდან გამგზავრების მომენტში მსურს მადლობა გადაგიხადოთ, ამხანაგო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო, პირადად ჩემი და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის დანარჩენი წევრების სახელით იმ განსაკუთრებით გულთბილი სტუმართმოყვარეობის გამო, რომელიც გიგვიწიეთ საბჭოთა კავშირში ჩვენი ყოფნის დროს, და გთხოვთ იყოთ ამ გრძნობების გამომხატველი სსრ კავშირის მთავრობისა და ხალხების წინაშე.

ჩვენმა ჩამოსვლამ შესაძლებლობა შექმნა გამოთქმულიყო ის ღრმა მეგობრული გრძნობები, რომლებითაც ჩვენი ხალხები ერთმანეთს ეპყრობიან და რომლებიც განსაკუთრებით დამყარებულია ერთობლივ ბრძოლასა და დაღვრილ სისხლზე წარსულ მსოფლიო ომში და ჩვენს საერთო ერთგულებაზე სოციალიზმის იდეალებისადმი, მთელი მსოფლიოს პროგრესისა და მშვიდობის იდეალებისადმი. თქვენს ქვეყანაში ჩვენი ყოფნის დროს შევძელით დავრწმუნებულიყავით, რომ საბჭოთა ხალხი უწრნარეს ყოვლისა დაინტერესებულია თავისი შემდგომი კეთილდღეობის განხორციელებით და რომ მას სურს მშვიდობა და თანამშრომლობა სხვა ხალხებთან.

საუბრებმა, რომლებიც ჩვენ გვქონდა, შესაძლებლობა მოგვცეს ერთად დგეგეადასტურებინა, თუ რაოდენ განვითარდა მეგობრული თანამშრომლობა და ურთიერთგაგება ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის გასული წლის განმავლობაში იმ მტკიცე საფუძვლების მეოხებით, რომლებზეც ჩვენი ურთიერთობა ბელგრადის დეკლარაციამ დამყარა. აზრთა გაზიარებამ ცხადყო, რომ ჩვენს წინაშე ისახება ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობის ყველა დარგში მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერების ახალი პერსპექტივები. მე მსურს განსაკუთრებით დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ ძლიერ ბედნიერად ვგრძნობთ თავს, რომ ჩვენი ჩამოსვლის შედეგად გამოიხატა ჩვენი ხალხების ურთიერთგაგებისა და მეგობრობის გზაზე ახალი ეტაპი მათი საერთო კეთილდღეობისათვის და მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სასარგებლოდ.

გადმოგცემთ რა ჩვენი დელეგაციის ყველა წევრის სახელით და პირადად ჩემი სახელით გულთბილ და ამხანაგურ სალამს, მსურს ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რაოდენ მადლობელი ვართ პირადად თქვენი და დანარჩენი თქვენი ამხანაგებისა, აგრეთვე ჩვენ მიერ ნახული ყველა მხარის საბჭოთა მოქალაქეებისა იმ ყურადღებისა და მიღებისათვის, რაც ჩვენ გაგვიწიეს და რაც დიდხანს დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

იოსიპ ბროზ ტიტო.

უნგენი, 23 ივნისი.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ი. ბროზ ტიტოს დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისადმი

ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

ვტოვებ რა თქვენს მეგობრულ ქვეყანას, მსურს მოგახსენოთ თქვენ, ამხანაგო თავმჯდომარეო, და თქვენი მეშვეობით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მთავრობას, აგრეთვე საბჭოთა ხალხებს იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციის ყველა წევრის სახელით და პირადად ჩემი სახელით გულთბილი მადლობა იმ გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, რაც გაგვიწიეთ საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს. ის მიღება და ყურადღება, რომლებსაც ჩვენ შევხვდით ხელმძღვანელ საბჭოთა ადამიანებთან და ხალხის უაღრესად ფართო მასებში, არა მარტო დიდხანს დარჩებიან ჩვენს ხსოვნაში, არამედ მათ აგრეთვე დაგვარწმუნეს, რომ საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისადმი იმავე მეგობრული გრძნობებით, რომლებითაც იუგოსლავიის ხალხები მათ ეპყრობიან.

ზე მსურს აგრეთვე ამ შემთხვევაში ხაზი გავუსვა იმით კმაყოფილების გრძნობას, რომ ჩვენი მთავრობების დელეგაციების საუბრებმა მოიტანეს ესოდენ ნაყოფიერი შედეგი და ხელი შეუწყეს ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრული და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ გაძლიერებას. ასეთი თანამშრომლობის გაძლიერება, უეჭველია, არა მარტო ურთიერთსარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხებს, არამედ აგრეთვე სასარგებლოდ შეუწყობს ხელს სოციალიზმის, მთელი მსოფლიოს პროგრესისა და მშვიდობის საქმეს.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით, ამხანაგო თავმჯდომარეო, რომ თქვენ და თქვენს მეუღლეს გადმოგცეთ ჩემი და ჩემი მეუღლის გულთბილი სალამი და გისურვოთ თქვენი დიდი და შშვენიერი ქვეყნის შემდგომი აყვავება.

იოსიპ ბროზ ტიტო

უნგენი, 23 ივნისი.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ი. ბროზ ტიტოს დეპეშა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისადმი

ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

ნება მიბოძეთ თქვენი ქვეყნიდან გამგზავრების მომენტში მოგახსენოთ პირადად ჩემი და ჩემი ამხანაგების სახელით გულწრფელი მადლობა იმ განსაკუთრებული სტუმრობისა და ყურადღებისათვის, რაც გაგვიწიეთ თქვენს ქვეყანაში.

ჩვენ მივემგზავრებით ზეგობარი საბჭოთა კავშირიდან მეტად ძლიერი შთაბეჭდილებებით იმ დიდ მიღწევათა გამო, რომლებიც საბჭოთა ხალხებმა განახორციელეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავიანთი ქვეყნისა და თავიანთი დიდი მომავლის მშენებლობაში, მიუხედავად ომით გამოწვეული მძიმე ნგრევისა და ყველა სხვა სიძნელისა, რომელთა დაძლევაც მათ უხდებოდათ. ყველა ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო ის იყო, რომ შეესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით ადგილებზე საბჭოთა ადამიანების შემოქმედების უნარს. ყველა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა განსაკუთრებით მხურვალე მიღებამ, რომელსაც ჩვენ შეეხვდით ჩვენ მიერ ნახულ ყველა მხარეში და რომელმაც დაგვარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები გამსჭვალული არიან გულთბილი მეგობრული გრძნობებით იუგოსლავიის ხალხებისადმი.

ზე მიმაჩნია, რომ შეგვიძლია ძლიერ კმაყოფილი ვიყოთ ჩვენი საუბრების შედეგებით, რომლებმაც გამოავლინეს საერთაშორისო მდგომარეობის ჩვენი შეფასების დიდი მსგავსება და საერთო სურვილი გავაღრმავოთ მეგობრობა და კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი ქვეყნების ხალხთა ყოველმხრივი თანამშრომლობა. ცოცხალმა კონტაქტებმა და ფრავალმა კავშირურთიერთობამ, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდა გასულ წელს, კვლავ დაადასტურეს ურთიერთმეგობრული გრძნობები ჩვენი ხალხებისა, რომლებიც ისწრაფვიან განახორციელონ მშვიდობისა და სოციალიზმის იგივე იდეალები. მე განსაკუთრებით მსურს ხაზი გავუსვა ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს შორის კონტაქტებისა და კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც არა მარტო იძლევიან შესაძლებლობას განვითარდეს ნაყოფიერი თანამშრომლობა ჩვენს მუშათა მოძრაობებს შორის, არამედ აგრეთვე ქმნიან საფუძველს, რომელზეც შეიძლება განვითარდეს ნაყოფიერი თანამშრომლობა მთელი მსოფლიოს ყველა სოციალისტურ და პროგრესულ მოძრაობათა შორის.

დასასრულ მე მსურს ყველა ჩემი ამხანაგისა და პირადად ჩემი სახელით გადმოგცეთ გულთბილი და ამხანაგური სალამი პირადად თქვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ყველა წევრს, აგრეთვე ყველა საბჭოთა მშრომელს.

იოსიპ ბროზ ტიტო

უნგენი, 23 ივნისი.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ი. ბროზ ტიტოს დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს

მოსკოვი

ნება მიბოძეთ თქვენი ქვეყნიდან გამგზავრების მომენტში მოგახსენოთ პირადად ჩემი და ჩემი ამხანაგების სახელით გულწრფელი მადლობა იმ განსაკუთრებული სტუმრობისა და ყურადღებისათვის, რაც გაგვიწიეთ თქვენს ქვეყანაში.

ჩვენ მივემგზავრებით ზეგობარი საბჭოთა კავშირიდან მეტად ძლიერი შთაბეჭდილებებით იმ დიდ მიღწევათა გამო, რომლებიც საბჭოთა ხალხებმა განახორციელეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავიანთი ქვეყნისა და თავიანთი დიდი მომავლის მშენებლობაში, მიუხედავად ომით გამოწვეული მძიმე ნგრევისა და ყველა სხვა სიძნელისა, რომელთა დაძლევაც მათ უხდებოდათ. ყველა ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო ის იყო, რომ შეესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით ადგილებზე საბჭოთა ადამიანების შემოქმედების უნარს. ყველა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა განსაკუთრებით მხურვალე მიღებამ, რომელსაც ჩვენ შეეხვდით ჩვენ მიერ ნახულ ყველა მხარეში და რომელმაც დაგვარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები გამსჭვალული არიან გ

საღღეისო თემაზე

გავაძლიეროთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ენერგიულად შრომობენ ჩვენი რეспუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები. ისინი ახლა დიდი პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან. იწყება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების კამპანია. ამოცანა ის არის, რომ მოსავალი სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ,

კოლმეურნეები, მექანიზატორები სამუშაოდ მინდვრად არიან გასული. მათ ყოველმხრივ უნდა შეეფუფყოთ ხელი, რათა დაკისრებული ამოცანა სასახელოდ შეასრულონ. ამასთან ერთად აუცილებელია მინდვრად გასული კოლმეურნეებთან, მექანიზატორებთან გავაძლიეროთ კულტურული-საგანმანათლებლო მუშაობა, შევუქმნათ მათ კარგი საყოფაცხოვრებო პირობები ახალი შრომითი წარმატებების მოსახვეველად.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა საქმე ისე უნდა მოაწყონ, რომ კულტურული მუშაობის ყველა ფორმა აღსავსე იყოს იდეურ-პოლიტიკური შინაარსით, რომ კლუბის, სამკითხველოს, ბიბლიოთეკის მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირდეს პრაქტიკას, ცხოვრებას, რათა ყველაფერი ეს ეხმარებოდეს სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას.

ამ მხრივ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სერიოზული მოვალეობა აკისრია. უზრუნველყოფილ უნდა იქნას, განსაკუთრებით ახლა, მოსავლის აღების დღეებში სარაიონო და სასოფლო ბიბლიოთეკების, კლუბების, ლექტორთა ჯგუფებისა და ლექტორთა სასოფლო გაერთიანებების მოქნილი, უნარიანი მუშაობა. ეს მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კადრებზე. ამ მიზნით კულტურის სამინისტრომ უკანასკნელ დროს ერთთვიან კურსებზე გადაანაწილა სასოფლო ბიბლიოთეკების გამგეები, სულ 75 კაცი. მალე მუშაობას დაამთავრებს სასოფლო კლუბების გამგეების კურსები, სადაც 108 კაცი სწავლობს. ისინი კვალიფიკაციას იმაღლებენ სპეციალური პროგრამით და უკეთესად მოემსახურებიან სოფლის მშრომელებს.

სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას კარგად აწყობენ თელავის, გურჯაანის, წითელწყაროს, ყვარლის, სიღნაღის და მთელი რიგი სხვა რაიონების სარაიონო და სასოფლო კლუბები, ბიბლიოთეკები. თელავის რაიონის აკურის სასოფლო კლუბი სისტემატურად მართავს მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლებს მინდვრად — კალოებთან, ფარდულებთან, სადაც კოლმეურნეები იყრიან თავს. იწყობა აგრეთვე კინოფილმების ჩვენება. ამ კლუბმა მოაწყო მოძრავი გამოფენა, რომელშიც ნაჩვენებია მოწინავე გამოცდილება ხორბლის, სიმინდის მოსავლიანობის გადიდების დარგში.

კულტურის ცენტრალური სახლის აგიტბრიგადამ ბრიგადებმა წელს უკვე გამართეს 30 კონცერტი, რომლებსაც 9.000 კაცზე მეტი დაესწრო. ასეთი კონცერტები აუცილებელია სისტემატურად მოეწყოს მოსავლის აღების დღეებში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცენტრალური სალექციო ბიურო მშრომელთა შორის აწყობს ლექციურ პროპაგანდას. მარტიდან ივნისში რესპუბლიკის 49 რაიონში წაკითხული იქნება 380-მდე ლექცია სხვადასხვა თემებზე, მათ შორის: „მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების გზები", „საზოგადოებრივ მეცხოველეობას შეეფუქნათ მტკიცე საკვები ბაზა", „სიმინდი ძვირფასი სამარცვლე და საფურაჟე კულტურაა" და სხვ.

მოსავლის აღების დღეებში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შრომელთა მომსახურებას პირველი მოთხოვნილების სამრეწველო საქონლით. საჭიროა ცეკავშირმა ჯეროვნად მოაწყოს ეს საქმე. დღემდე წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებში მოწყობილია დაკარებითი ვაჭრობა ორი ავტომანქანით. ცხადია, ეს სრულებით არ არის საკმარისი. ყველა რაიონში უნდა მოეწყოს მოძრავი ვაჭრობა და უზრუნველყოფილ იქნან მინდვრად მომუშავე კოლმეურნეები პირველი მოთხოვნილების სამრეწველო საქონლით. კარგი იქნება მოეწყოს ლიმონათისა და ბორჯომის წყლის მინდვრად გაყიდვა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ კონკრეტული, ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რათა მათი მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე იდგეს.

მოწინავე კომბაინერები

გურჯაანი. (საკ. კორ.). მასობრივად გაჩაღდა ქერის აღება. სოფელ ვლისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში კომბაინერმა კ. ლისოვსკიმ ორ დღეში 25 ჰექტარი ქერი მომკა ნაცვლად 16 ჰექტარისა. თვითეულ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი ქერი ანუ 5 ცენტნერით მეტი, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. ორგანიზებულად მიმდინარეობს მკა სოფელ ვარდისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. კომბაინერმა გ. არუთინოვმა „სტალინეც-6" მარკის კომბაინით ერთ დღეს მოსავალი 10 ჰექტარზე აიღო.

ქერის კარგი მოსავალია სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში. კომბაინერმა ა. პიდენკომ 25 ჰექტარი ქერი მომკა.

კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შრომა მიმართულია იქითკენ, რომ სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ პურეულის მოსავალი.

რძის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმის შესრულება

დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 20 ივნისისათვის 100,6 პროცენტით შეასრულეს რძის დამზადებისა და შესყიდვის 1956 წლის პირველი ნახევრის გეგმა. ჩაბარებულია 1.555 ტონა რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.546 ტონისა.

დამზადება გრძელდება.

ახალი ხუთწლედის ნოვატორები

ღრმა ბურღვის ოსტატი კ. ნადირაძე

მოკლე, მაგრამ შინაარსიანია კარპეზ ნადირაძის ბიოგრაფია. იგი დაიბადა 1928 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ითხვისში. აქვე წარმატებით დაამთავრა რვაწლიანი სკოლა 1944 წელს. 1945 წელს კარპეზს მარგანტრესტის მთავარ მექანიკურ სახელოსნოში ვხვდებით, იგი ხარატობას სწავლობს. გამოცდილი მუშების დახმარებით ნიჭიერი ახალგაზრდა სრულყოფილად დაეუფლა სახარატო ჩარხზე მუშაობას და მალე დამოუკიდებლად შეუდგა შრომას.

ორი წლის შემდეგ ნადირაძე მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, სადაც დიმიტროვის სახელობის მაღაროა. იგი ძალიან დაინტერესა მადნის ბურღვის პროცესმა და გადაწყვიტა დაუფლებოდა ამ პროფესიას. ერთხანს მბურღავის დამხმარედ მუშაობდა, შემდეგ ექვსთვიანი ტექნიკური კურსები გაიარა და უკვე კვალიფიციური მბურღავი გახდა — ოცი წლის ჭაბუკმა საბურღავი მანქანა ჩაიბარა. იგი დღითიდღე სრულყოფდა თავის ოსტატობას, ეუფლებოდა ტექნიკას. მალე მან შეიმუშავა მარგანეცის ღრმა შპურებით ბურღვის მეთოდი, რითაც პირველმა ჭიათურაში მიაღწია ერთ ციკლზე სანგრევის ორი მეტრით წინსვლას და სახელი გაითქვა როგორც ნოვატორმა.

კ. ნადირაძე.
ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

• • •

ნადირაძეს მუდამ წესრიგზე აქვს საბურღავი მანქანა, ბურღები, შპურების გამოსაწმენდი კოვზი, კაბელი, წვრილი და სანგრევიდან სანგრევზე იარაღების გადასაადგილებელი ურიკა. მუშაობის დაწყებამდე იგი გულდასმით სინჯავს და ამოწმებს სამუშაო ადგილს, სამუშაო იარაღების ვარგისიანობას, კარგად ზეთავს მანქანას. ნადირაძე საუცხოოდ იცნობს მადნის ფენების თავისებურებებს, იცის რომელი ფენა რა სიმაგრისაა და როგორ უნდა დაუყენოს საბურღავი მანქანა. მან იცის, რომ წვრილმარცვლოვანი ფენა უფრო რბილია და შპურებსაც ძირითადად იქ ჭრის.

ნოვატორი მბურღავი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შპურების განლაგებას. შპურების დახრის მახვილი კუთხეები ვერტიკალურ სიბრტყეებში იზრდება და სწორ კუთხეებს უახლოვდება იმგვარად, რომ შპურების სიღრმეთა უმნიშვნელო სხვაობა თითქმის სანგრევთა სიბრტყის პერპენდიკულარულია. შპურების ასეთ განლაგებას მბურღავი აღწევს საბრჯენ სვეტზე მანქანის აწევ-დაწევით. იგი მუშაობის დაწყებისას მანქანას საბრჯენი სვეტის ზემო მდებარეობაში ათავსებს და შპურებს ჭრის თანმიმდევრობით, სანგრევის კიდიდან შუა ხაზისაკენ — მარცხნიდან მარჯვნივ. იგი მანქანის ორი დადგმით სანგრევში ჭრის 24 შპურს — 52 მეტრი საერთო სიგრძით. შპურების აფეთქება თანმიმდევრულად წარმოებს — ფეთქდება ჯერ გამყელავი, ხოლო შემდეგ მომნგრევი შპურები. ამ მეთოდით მიღწეულია მადნის მონგრევის საუცხოო შედეგი. ამავე დროს ერთიორად შემცირდა მასალების ხარჯვა. გაუმჯობესდა სანგრევის განიავების პირობები. თავისი მეთოდით ნადირაძემ ძალიან შეამჭიდროვა ბურღვის ცალკეულ ოპერაციებზე, განსაკუთრებით ბურღვაზე მუშაობის დრო და შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია. მან მარტო მიმდინარე წლის ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით 7.259 ტონა მადანი მოანგრია და 13.762 მანეთი გამოიმუშავა. ნოვატორმა მბურღავმა თავისი მეთოდი შეასწავლა ა. მაჭარაშვილს, დ. ცაბაძეს, ა. სტეციუკს, რომლებიც წარმატებით მუშაობენ. ნადირაძე ერთხანს ღრმა შპურებით ბურღვის ინსტრუქტორი იყო და ყველა მაღაროში ეწეოდა თავისი მეთოდის პროპაგანდას. ახლა ბევრი მბურღავი ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებშიც მისი მეთოდით მუშაობს.

ნოვატორი მბურღავი არ კმაყოფილდება მიღწეულით. იგი ყოველდღიურად იმაღლებს პროფესიულ ოსტატობას, სრულყოფს ბურღვის მეთოდს, იბრძვის იმისათვის, რომ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი ძვირფასი მადანი მისცეს.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ეხმაურებიან წერილს — „სანიმუშოდ მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის"

სკოლებისათვის ზრუნვა საპატიო მოვალეობაა

ბათუმელთა ინიციატივამ ერთსულოვანი მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა ქ. გორის სახალხო განათლების მუშაკთა და შეფი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შორის.

წელს რემონტი გაუკეთდება 8 სასკოლო შენობას და 6 საბავშვო დაწესებულებას, რაზეც დიახარჯება 263 ათასი მანეთი. უკვე ფართოდ გაიშალა მე-5 და მე-3 სკოლების შენობათა სარემონტო სამუშაოები. დამთავრების პროცესშია დაწყებითი სკოლის შენობის რემონტი. მე-3 საშუალო სკოლაში მოეწყობა ახალი სახელოსნოები.

მომავალი სასწავლო წლისათვის ქ. გორის განათლების ქსელს გადაეცემა ახალი შენობა მე-7 სკოლისათვის, რომელსაც აშენებს ბამბეულის კომბინატი. სასკოლო კაბინეტლაბორატორიები შეივსება 25 ათას მანეთამდე ღირებულების ახალი ხელსაწყო-იარაღებით, ბიბლიოთეკებს დამატება 19 ათასი მანეთის წიგნები.

შეფი ორგანიზაციები საკმაო დახმარებას უწევენ ქალაქის სკოლებს პოლიტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. სკონსერვო ქარხანამ და № 3 სამშენებლო ტრესტმა ვალდებულება იკისრეს რემონტი გაუკეთონ სასკოლო შენობებსა და ცენტრალურ გათბობას. რემონტი მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე უნდა დამთავრდეს.

სკოლებში დღეისათვის შემოწიდულია 250 კუბმეტრი შეშა, რაც შეადგენს შემოსაზიდად გათვალისწინებული შეშის 50 პროცენტს.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მიზნით სკოლების სამოქმედო უბნებში უკვე აღწერილია სასკოლო ასაკის 300-ზე მეტი ბავშვი, რომლებიც ახალი სასწავლო წლიდან ჩარიცხული იქნებიან პირველ კლასში. ამყამად მიმდინარეობს სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა აღრიცხვა.

ზაფხულის პერიოდში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნება 23 მასწავლებელი.

ამ დღეებში საქალაქო საბჭოს სესიაზე განხილული იქნება ქ. გორის სკოლებში 1955-56 სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი. სესია დასახავს კონკრეტულ ღონისძიებებს სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ქ. გორის სახალხო განათლების მუშაკთა საპატიო მოვალეობაა სანიმუშოდ მოემზადონ ახალი სასწავლო წლისათვის და მომავალში კიდევ უფრო გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, ხოლო საქალაქო საბჭო კიდევ უფრო გააძლიერებს სკოლებისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას.

ბ. ზერეკიძე,
გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ეს ახალგაზრდები თბილისის 39-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები არიან. დაეკვირდით მათ. ისინი მზად არიან სამშობლოს ყოველ დაძახილზე წავიდნენ იქ, სადაც საჭიროა, და წავიდნენ ისეთივე ხალისიანი, მოღიმარი სახეებით, როგორიც ამ სურათზეა გამოხატული.

დასრულდა მათი ცხოვრების პირველი ღირსსახსოვარი პერიოდი — მოსწავლეობის ხანა. უკან დარჩა მშობლიური სკოლა, დაძაბული სწავლის, მეცნიერების საფუძვლების დაუფლებისათვის ბრძოლის დაუვიწყარი წლები. სკოლიდან — ცხოვრებაში!

ვინ იცის სათ მიემართება თვითეული მათგანის მომავალი ცხოვრების გზა. ერთი რამ კი ცნობილია—ყველა მათი გზა, ცხადია, არა ია ვარდმოფენილი, არამედ სიძნელეებით დახლართული, მაგრამ მაინც ბედნიერების გზა. სწავლასთან ერთად მათი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იქნება ხალისიანი შრომა სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სად მიდიან ისინი ახლა? — სოფლად — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საზაფხულო სამუშაოებზე! უხვი მოსავლისათვის ბრძოლის გადამწყვეტ თვეებში ისინი მხარში ამოუდგებიან სოციალისტური მინდვრის ოსტატებს — ასეთია მათი გადაწყვეტილება.

გზა მშვიდობისა, ახალგაზრდებო!

ტექსტი ელ. დემეტრაძისა,
ფოტო გ. გოგობიასი.

ზრადიციული მეგობრობა

სოხუმი. (საკ. კორ.). ლენინგრადელ და სოხუმელ მეთამბაქოეებს ერთმანეთთან ტრადიციული მეგობრობა აკავშირებს. ი. ბ. სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები ხშირი სტუმრები არიან ლენინგრადის ურიაკის სახელობის თამბაქოს ფაბრიკისა. მაგალითად, სოხუმელ მეთამბაქოეთა დელეგაციამ გასულ წელს რამდენიმე დღე დაჰყო ლენინგრადში. ისინი იქ გაეცნენ ლენინგრადელ თანამოსაქმეთა გამოცდილებას, წარმოების მოწინავე ტექნოლოგიას. სოხუმელმა გ. სალიანოვამ რამდენიმე დღე იმუშავა თამბაქოს მრეწველობის ნოვატორ ლაზარევასთან, რომელმაც მას თავისი მუშაობის მოწინავე გამოცდილება გაუზიარა.

სოხუმელმა მეთამბაქოეებმა ლენინგრადელთა მაგალითისამებრ წარმოებაში დანერგეს შრომის პროგრესული მეთოდები და ამჟამად 3-4 დაზგას ემსახურებიან ნაცვლად ორისა.

ამას წინათ სოხუმელ მეთამბაქოეებს ეწვია ლენინგრადელთა დელეგაცია ათი კაცის შემადგენლობით. დელეგაციის წევრები არიან მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მათ შორის — წარმოების ნოვატორები ე. კოტოვა, ა. ლაპინა, ა. დმიტრიევა, ვ. პეტროვა და სხვები. სტუმრები აფხაზეთში ორ კვირას დარჩებიან. ამ ხნის განმავლობაში ისინი თავიანთ მოწინავე გამოცდილებას გაუზიარებენ სოხუმელებს.

ზეიმი მთაში

ქსნის ხეობაში ისევ ლილის ნისლი იწვა, როცა ლენინგორიდან მოებისაკენ საზეიმოდ მორთული მანქანები დაიძრა. ვინც კი 16 ივნისს „მწყემსის დღეს" დაესწრო ლარგვისში, მას არ დაავიწყდება მთიელთა აღფრთოვანება და სიხარული, მწყემსთა გულადღილი საუბარი.

ზეიმია სოფელ ლარგვისში. სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნასთან იკრიბებიან მწყემსები, ფერმების გამგეები, ზოოტექნიკოსები. მათ შესახვედრად მოსულან ოლქისა და რაიონის მუშაკები, მოსწავლეები და პიონერები, მწყემსთა ოჯახები, მთის სოფლების მკვიდრნი.

დღესასწაულზე სიტყვას ამბობს პარტიის ლენინგორის რაიკომის მდივანი ამხ. ი. უზნაძე.

— ჩვენ აქ, ქსნის ხეობაში, შევიკრიბეთ, რათა შევაჯამოთ რაიონის მამაც მეცხვარეთა წლიური მუშაობის შედეგები, ერთმანეთს გავუზიაროთ გულის ნადები, ვამხელთ ნაკლოვანებანი, დავსახოთ ღონისძიებანი მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

მან აღნიშნა, რომ ლენინგორელმა მეცხვარეებმა საუკეთესოდ გამოაზამთრეს ცხვარი ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე. 78 ათას სულამდე გაიზარდა წელს ცხვრის საერთო რაოდენობა. მიუხედავად გაჭიანურებული ზამთრისა, მეცხვარეებმა კარგად ჩაატარეს დოლი და საზაფხულო საძოვრებზე გადმოიყვანეს 23 ათასი ბატკანი. საგულისხმოა, რომ გარდატეხა მოხდა ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საქმეში. ახლა ლენინგორელ მეცხვარეთა ფარების 80 პროცენტი ნახევრადნაზმატყლიანია. კიდევ ორიოდე წელი, და მთლიანად შეიცვლება უხეშმატყლიანი ცხვარი ნაზმატყლიანით, იმატა ნაპარსმა. სახელმწიფოს უკვე ჩაბარდა ათობით ტონა მატყლი.

ტრიბუნაზეა სოფელ უკანამხარის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ჩიტიშვილი. იგი ლაპარაკობს უკანამხარელ მეცხვარეთა მიღწევებზე, სოფლის კომუნისტების თაოსნობასა და ინიციატივაზე მეცხვარეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში მეცხვარეობის მოწინავე არტელია. მას 13.500 სული ცხვარი ჰყავს. უკანამხარელებმა ჩინებულად მოუარეს ცხვარს ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე და ახლა აქ, მშობლიურ მთებზე, 4.000-ზე მეტი ნაზმატყლიანი ბატკანი გადმოიყვანეს. მწყემსთა ზეიმზე არაერთხელ ახსენეს ამ კოლმეურნეობის სახელოვანი მეცხვარეები შ. შიუკაშვილი, ს. ჩიტიშვილი, შ. თეზელაშვილი და სხვ. წარჩინებულმა მეცხვარეებმა ნ. და შ. შიუკაშვილებმა ყოველ 100 სულ დედაცხვარზე მიიღეს და შეინარჩუნეს 96 სული ბატკანი.

გასულ წელს რაიონში ხელოვნურად დანერგილ იქნა 30 ათასი სული დედაცხვარი, მიღებულ იქნა 80 პროცენტზე მეტი მეტისური თაობა. თუ ადგილობრივი ჯიშის ბატკანი 20-22 კილოგრამს იწონის, შიჯვარების შედეგად მიღებული მეტისის წონა 36-37 კილოგრამს აღემატება და გაცილებით მეტ მატყლსაც იძლევა.

ცხვრის ხელოვნურად დათესლვის საქმეში განსაკუთრებით კარგად იმუშავეს სოფლების უველადაბის, თოხთის, მიდელაანის და ლარგვისის კოლმეურნეობებმა. მწყემსები მადლობის გრძნობით იხსენიებენ შრომისმოყვარე და ენერგიულ ზოოტექნიკოსებს გ. ტაბატაძეს, გ. აბრამიძეს, ა. ბაკაევს და სხვებს, რომლებმაც სერიოზული მუშაობა გასწიეს ფარების ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის.

ტრიბუნაზე ერთიმეორეს ცვლიან და მეცხვარეების საჭირბოროტო საკითხებზე ლაპარაკობენ სოფელ პავლიანის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ა. პავლიაშვილი, უველადაბის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეცხვარე ო. ახლოური, ჩიგოიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ცგოევი, დადიანეთელი მწველავი ხ. ბერიანიძე და სხვ.

მიესალმა რა სახელოვან მწყემსებს, ლარგვისის საშუალო სკოლის მეთერმეტე კლასის მოსწავლემ ვ. შერმადინმა, რომელმაც წარჩინებით ჩააბარა გამოცდები, სურვილი გამოთქვა მწყემსად იმუშაოს მეცხვარეობის ფერმაში. ამ სიტყვებმა დამსწრეთა შორის კმაყოფილება გამოიწვია. მწყემსებმა ახალგაზრდას დახმარება აღუთქვეს.

ზეიმის დღეს მოწინავე მეცხვარეებს რაიონის ცენტრიდან ჩამოუტანეს საჩუქრები: პატეფონები, სანადირო თოფები, მაგიდისა და მაჯის საათები, მწყემსის ნაბდები, გარმონები. პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ვ. ხაბალაშვილმა მწყემსებს საზეიმო ვითარებაში გადასცა მშრომელთა სახუქრები. მეცხოველეებმა მადლობა გამოთქვეს საჩუქრებისათვის და ვალდებულება იკისრეს უკეთ მოუარონ ცხვარს საზაფხულო საძოვრებზე, გააძლიერონ მუშაობა ჩრდილოეთ კავკასიის საძოვრებზე გამოზამთრებისათვის მოსამზადებლად, წარმატებით შეასრულონ მეცხვარეობის განვითარების საქმეში მეექვსე ხუთწლედით დასახული ამოცანები.

მიტინგის დამთავრების შემდეგ ზეიმი კვლავ გრძელდებოდა. მეცხვარეების წინაშე თავისი ახალი პროგრამით წარსდგა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. სოფლის მეორე კუთხეში გრძელდებოდა მეცხვარე სპორტსმენების შეჯიბრება ქართულ ჭიდაობასა და ფრენბურთში.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მწყემსის დღე ლენინგორში



სურათებზე: მარცხნივ — ნახიდის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ი. ჩოჩელი წარმატებას უსურვებს საშუალოსკოლადამთავრებულ ვ. შერმადინს, რომელიც ფერმაში იწყებს მუშაობას; წრეში — ჩიგოიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ცგოევი (მარცხნივ) და ყველდაბის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ჩიტიშვილი მიღებულ საჩუქრებთან.

ფოტო ხ. ონანოვისა.

მუშაობა ჭიანურდება

სამი წლის წინათ, 1953 წლის დასაწყისში, მეშახტეთა ქალაქ ტყიბულის ცენტრში სოფლელი ჩაეყარა საშუალო სკოლის ახალ შენობას. ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით და ტყიბულშახტმშენის ტრესტის მაშინდელი ხელმძღვანელების დაბირებით სკოლის მშენებლობა იმავე წლის 1 სექტემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო. სამწუხაროდ, მშენებლებმა პირობა ვერ შეასრულეს.

სკოლის მშენებლობის დამთავრების მორიგ ვადად 1954 წლის 1 სექტემბერი იქნა დაწესებული. ბაგრამ მშენებლები, ჩაებღაუჭნენ სხვადასხვა „ობიექტურ", ხელისშემშლელ მიზეზს და სკოლის შენობის დამთავრებას ყურადღებას არ აქცევდნენ. ამ ჟამად ეს ობიექტი ქალაქის სკოლებს პოლიტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. სკონსერვო ქარხანამ და № 3 სამშენებლო ტრესტმა ვალდებულება იკისრეს რემონტი გაუკეთონ სასკოლო შენობებსა და ცენტრალურ გათბობას. რემონტი მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე უნდა დამთავრდეს.

სკოლებში დღეისათვის შემოწიდულია 250 კუბმეტრი შეშა, რაც შეადგენს შემოსაზიდად გათვალისწინებული შეშის 50 პროცენტს.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მიზნით სკოლების სამოქმედო უბნებში უკვე აღწერილია სასკოლო ასაკის 300-ზე მეტი ბავშვი, რომლებიც ახალი სასწავლო წლიდან ჩარიცხული იქნებიან პირველ კლასში. ამყამად მიმდინარეობს სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა აღრიცხვა.

ზაფხულის პერიოდში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნება 23 მასწავლებელი.

ამ დღეებში საქალაქო საბჭოს სესიაზე განხილული იქნება ქ. გორის სკოლებში 1955-56 სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი. სესია დასახავს კონკრეტულ ღონისძიებებს სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ქ. გორის სახალხო განათლების მუშაკთა საპატიო მოვალეობაა სანიმუშოდ მოემზადონ ახალი სასწავლო წლისათვის და მომავალში კიდევ უფრო გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, ხოლო საქალაქო საბჭო კიდევ უფრო გააძლიერებს სკოლებისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას.

ბ. ზერეკიძე,
გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ჩვენ გვწერენ

პირნათლად შეეასრულებთ პარგჩის დავალებას

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებამ კომკავშირელებისადმი და-მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობისადმი მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა რესპუბლიკის მოწინავე ახალგაზრდებს შორის. საქართველოს ათასობით ჭაბუკმა და ქალიშვილმა შეეტანა კომკავშირის რაიკომებში განცხადებები, სადაც ისინი სურვილს გამოთქვამენ წავიდნენ სამუშაოდ.

მე წილად მხვდა მოვხვედრილიყავი ახალგაზრდების იმ ჯგუფში, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება ჩრდილოეთ ყაზახეთში. ჩემთან ერთად მოდიან ჩვენი ქარხნის ახალგაზრდა მუშები მ. აბრამიანი, ნ. კლენიუკი, ვ. აბეევი, ვ. კუზინი და სხვები. რასაკვირველია ყოველ ჩვენგანს ეძნელება დაშორდეს თბილისს, მშობლიურ კოლექტივს, მაგრამ მაინც სიხარულით მივდივართ ყაზახეთში, ვინაიდან ჩვენი შრომა ამჟამად ყველაზე უფრო იქ არის საჭირო.

ჩვენს ჯგუფს მუშაობა მოუხდება რკინიგზის მშენებლობაზე. ძნელი იქნება ყაზახეთის უწყლო ველებში ფოლადის მაგისტრალის გაყვანა, მაგრამ საბჭოთა ახალგაზრდებს არასოდეს არ აშინებდა სიძნელეები. ენერგიულად ვიშრომებთ, რომ პირნათლად შეეასრულოთ ჩვენთვის დაკისრებული საპატიო ამოცანა.

გ. მელაძე,
თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშა.

საღ შევიძინოთ ვაზის შესაწამლი აპარატები

ცნობილია, რომ ვაზის მთავარ ავადმყოფობად ჭრაქი ითვლება. იგი აზიანებს ფოთოლს, ყლორტს, ყვავილსა და ნაყოფს. ჭრაქის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებად ერთპროცენტიანი ბორდოს სითხე ითვლება. მისი შესხურება ჯერჯერობით ძირითადად ხდება ზურგის აპარატ „ტრემასით".

ჩვენს კოლმეურნეობას 88 ჰექტარი ვენახი აქვს. მას დამუშავებას არ ვაკლებთ. შედეგი კარგია, ყურძნის მოსავლიანობის დავალებას ყოველთვის დიდი გადამეტებით ვასრულებთ. კიდევ უფრო კარგად გვიქნებოდა საქმე, მუშაობაში ზოგი რამ ხელს რომ არ გვიშლიდეს. მაგალითად, შესასხურებელი ზურგის აპარატები გვაკლია. წამლობა მოკლე დროში რომ ჩატარდეს, 60 აპარატი გვჭირდება, გვაქვს კი 25 ცალი და ისიც ნახევრად უვარგისი. არსად არ იშოვნება აპარატების ძირის რეზინი და სხვ. თელავის რაიონის კოოპკავშირი (გამგეობის თავმჯდომარე ვ. ბატიკაშვილი) ამ საქმისათვის არ ზრუნავს.

სამომხმარებლო კოოპერაცია უნდა დაგვეხმაროს ვაზის შესაწამლი აპარატების შეძენაში.

ს. ბეჭანიშვილი,
რ. ვარდანაშვილი.
თელავის რაიონის სოფელ არეთანის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირები.

...ოჯახური ეზოზე

სამზარეულოდან გამოსული ახალგაზრდა ქალი ოთახის კარის ზღურბლზე შეჩერდა და გაჯავრებით თქვა:

— კმარა, ნიკო, ნუ გადარიე ბავშვები!

გოგო-ბიჭის ერიამულსა და სიცილ-კისკისში გახოკიძემ ძლივს გაარჩია ქალის სიტყვები და ასადგომად წამოიწია.

— გამოშვით, თქვე ონავრებო, ხომ ხედავთ, დედა უკვე გვიჯავრდება!

გახოკიძეების ოჯახი მხიარულად შემოესხდა მაგიდას. საუზმის შემდეგ ნიკოლოზი დაემშვიდობა ბავშვებს — აბა, ჭკუით იყავითო, დაუბარა, და კიბეზე დაეშვა.

ახლანა უხვად მისრიალებდა ახლადგაყინულები თბილისის ქუჩებში. მზე ის-ის იყო ამოწვერილიყო და ჯერ ნახლოდ შენობების სახურავები გაეღვენა ნარინჯისფერ სხივებში.

— მამიკო, შენი ჭირიმე, ერთხელ მაინც მოიტანე ნამდვილი თვითმფრინავი, რა, მაბა! — გაახსენდა უცებ გახოკიძეს პატარა დათუნას თხოვნა. — ჰმ, შეხე ერთი, ახლავე რომ კვალში ჩამიდგა! — ჩაიცინა გუნებაში. ეჰ, ბედნიერია დათუნა, ბედნიერი! სად ნახავს იმას, რაც მამამისმა განიცადა და გადაიტანა თავის ცხოვრებაში! სწორედ მისი ხნისა იყო ნიკო, მშობლები რომ დაეხოცა. დაობლებული ბავშვი რკინიგზის ძველმა მუშამ ძია პორფირემ წამოიყვანა თბილისში. უჭირდათ, მაგრამ ნიკო მაინც სწავლობდა, წამოიზარდა თუ არა, მზარში ამოუდგა ბიძას, ხან სად მუშაობდა, ხან სად, თანაც ჯიუტად განაგრძობდა სწავლას.

— ექიმი უნდა გამოვიდეს ჩემი ნიკო, ექიმი! — იტყოდა ხოლმე ხშირად ძია პორფირე. მაგრამ მის ოცნებას ახდომა არ ეწერა. ბავშვი მოდელიზმმა გაიტაცა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ექსკურსიაში მოხვდა — აეროდრომს ეწვივნენ. ამან გადაწყვიტა ახალგაზრდა გახოკიძის მომავალი. ჩვიდმეტი წლისამ განცხადება შეიტანა საფრენსნო სკოლაში, მაგრამ პატარა ტანისა და მცირე წონის გამო უარი უთხრეს. იძულებული იყო აეროკლუბში დაეწყო საფრენსნო საქმის შესწავლა. მხოლოდ სამი წლის შემდეგ აუხდა ნატვრა ნიკოლოზს. როგორც იქნა ბიღლეს ბატალიკის საავიაციო სკოლაში. ეს იყო 1935 წელს. მას შემდეგ გახოკიძეს არ შეუწყვეტია საყვარელ საქმეზე ფიქრი და ზრუნვა. ეს სიყვარული, როგორც ჩანს, ახლა მის ბიჭუნასაც გადასდებია. ტყუილად ხომ არ უთქვამთ, „კვიცი გვარზე ხტისო“?

მალე მანქანა აეროპორტის შესასვლელთან შეჩერდა. იქიდან უკვე გამოდიოდნენ მგზავრები. ბევრი მათგანი პირადად იცნობდა ნიკოლოზს, ვინ იცის, რამდენჯერ უმოგზაურია მისი თვითმფრინავით, და ახლა ძველი მეგობარივით ესალმებიან მას.

როგორც კი შესასვლელს გასცდა, ნიკოლოზმა თვალი მოჰკრა აეროპორტის დისპეტჩერს გრიგოლ გაგოშიძეს, თავის ძველ მასწავლებელს, რომელიც სადისპეტჩეროს კართან იდგა და რაღაცას ელაპარაკებოდა ახლახან რეისიდან დაბრუნებულ მფრინავს ვასილ კუჭავას.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — დაუძახა მათ გახოკიძემ და მისალმების ნიშნად ხელი აიქნია, — როგორ არის საქმე, გრიგოლ ეფრემიჩ?

— გაგიმარჯოს, ამხანაგო პორტის უფროსის თანაშემწევ! — ჩაიბუტბუნა გაგოშიძემ, — საქმეს არა უშავს რა, დავფრინავთ ფრთამოუტეხლად!

მას სიამოვნებდა, თავის ყოფილ მოწაფეებს მათი თანამდებობის აღნიშვნით რომ მიმართავდა, ამით ცოტა არ იყოს ამაყობდა გრიგოლი — შეხე, რა ბიჭები დავზარდეო!

კუჭავამ მოსკოვური პაპიროსები შესთავაზა მეგობრებს. აეროდრომზე კი არ წყდებოდა გაგანი. ზოგი თვითმფრინავი ეშვებოდა, ზოგი ახლად იღებდა სტარტს.

— მგონი დღეს შენ გადაგყავს მგზავრები მოსკოვში, — მოუბრუნდა გახოკიძეს გრიგოლი და, როგორც წინათ, მისი მოწაფეობის დროს, კეთილი ბუზღუნით დაყოლა:

— აბა, შენ იცი, ნიკო, როგორ ჩაიყვან ხალხს ადგილზე!

— მესმის, ამხანაგო... მასწავლებელო! — გაიჭიმა აეროპორტის უფროსის თანაშემწე...

* * *

როცა სოხუმს გადაუფრინეს, გახოკიძემ შტურვალი მეორე პილოტს ჩაბარა და სამგზავრო განყოფილებაში გავიდა. მგზავრები დამშვიდებით ისხდნენ რბილ სავარძლებში. ყოველთვის, როცა კი ნიკოლოზი მათ შეხედავდა, მასში მთელი სიმძაფრით იღვიძებდა პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა, რომელსაც ასე მუდმივად განიცდიან სამოქალაქო ავიაციის მფრინავები — მათ ხომ ამდენი ადამიანი ანდობს თავის სიცოცხლეს, თავის ბედს!

ხომალდის მეთაურმა თვალი მოავლო სავარძლებს. შუახნის, თმაშეერცხლილ კაცს ყურებში ბამბა დაეცო და ფერმიხდილი გასცქეროდა სარკმელს. ორიოდე რიგის დაშორებით ახალგაზრდა ქალი ჯდა, დაძაბული, სახეზე კი ისეთი შეშფოთება გამოხატოდა, თითქოს ეს არის წამოხტება და აქედან გაიქცევაო. „ახლები არიან“,— მიხვდა მაშინვე ნიკოლოზი, ქალთან მივიდა, მხარზე ხელი შეახო და დამამშვიდებლად გაუღიმა.

— ასე დაიღლებით, ჰაერში ყოფნა კი ჯერ დიდხანს მოგიწევთ, რატომ გეშინიათ, სახიფათო აქ არაფერია.

ქალი გაწითლდა, დარცხვენილი ღიმილით გამოუტყდა პილოტს.

— ჯერ არასოდეს არ ვმჯდარვარ თვითმფრინავში.

ნიკოლოზი ახლა ყურებში ბამბაადაცულ ჭაღაროსანს მიუბრუნდა, მაგრამ მისთვის აღარაფერი უთქვამს.

„ამხელა ადამიანები არიან, ვინ იცის რა სერიოზულ საქმეებს ხელმძღვანელობენ და ასეთ უბრალო რამეში კი ვერ გარკვეულან!“ — გაიფიქრა ხომალდის მეთაურმა, გაეღიმა. მას გახსენდა პირველი საჰაერო მგზავრების შიში და უნდობლობა ამ, ერთი შეხედვით, სახიფათო, მაგრამ მაინც საინტერესო ტრანსპორტისადმი. რამდენმა დრომ განვლო მას შემდეგ! ახლა კი თითქმის ყველა, ვისაც ამ ლაჟვარდ გზებზე უხდება მოგზაურობა, მშვენივრად იცნობს მფრინავებს და, აბა დასამალი რა არის, ცოტა მიკერძებულობასაც იჩენენ მათდამი.

უცნაურია ადამიანის ხასიათი. თითქმის ყოველ მათგანს ერთი ამოჩემებული მფრინავი ჰყავს, რომელსაც იგი ენდობა და რომელთანაც თავს სრულებით უხიფათოდ გრძნობს. საინტერესოა, რომ ეგზავრების ასეთი უცნაური „გულშემატკივრობა“ აეროპორტის თითქმის ყველა პილოტზეა გავრცელებული. ეს არც საკვირველია. თბილისის აეროპორტში მართლაც რომ საუცხოო ადამიანები მუშაობენ. ავიღოთ თუნდაც იგივე ვასილ კუჭავა, ან პეტროვი, ან ლეო თალაკვაძე, ან ძიხეილ კეკოიანი და კიდევ მრავალი მათი მსგავსნი. თვითონ ნიკოლოზი 1938 წლიდან მუშაობს ამ აეროპორტში და, თუ სამამულო ომის წლებს არ ჩავთვლით, სადაც ომის დამთავრებამდე არ გაუშვია ხელიდან შტურვალი, უკვე ორ მილიონზე მეტი კილომეტრი აქვს გავლილი.

ხომალდის მეთაურს კაბინაში დაბრუნებისასაც არ მოსცილებია სახიდან ფიქრმორეული ღიმილი, — საუცხოო ადამიანები გვყავს, მშვენიერი ადამიანები, — თქვა მან, როცა შემცვლელი პილოტის კითხვით სავსე გამოხედვა დაიჭირა.

— მალე მოსკოვში ვიქნებით, — ანიშნა პილოტმა ხელსაწყოებზე.

გახოკიძემ თავი დაიქნია.

— სულ მალე.

* * *

ასე ყოველდღიურად ჩვენი უზარმაზარი სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეებში მიგუგუნებენ ვერცხლისფერი საჰაერო ხომალდები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში გადააქვთ ათეულ ათასობით ტონა ტვირთი, წერილები, ჟურნალ-გაზეთები, გადაჰყავთ ათეულ ათასობით მგზავრი. სიძნელეებთან ბრძოლაში გამოწრთობილი ადამიანები გულდაჯერებით მართავენ მათ ამ უსაზღვრო საჰაერო სივრცეების უხილავ, მაგრამ ასე ნაცნობ ლაჟვარდ გზებზე.

ა. კუსრაშვილი.



ჯავის № 1 სანატორიუმის დამსვენებლები გართობის დროს.

ფოტო ვ. უბოჟენკოსი.

დასვენების საღამო

ამ დღეებში პლეხანოვის სახელობის კლუბის კინოდანადგარს საზეიმოდ გადაეცა საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა და ფულადი ჯილდო, რომელიც მას მიენიჭა მომდინარე წლის I კვარტალის გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებლებისათვის. ამასთან დაკავშირებით კლუბში მოეწყო სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშაკოსამსახურეთა დასვენების საღამო.

საღამოს კლუბის პარკში უკრავდა სასულე ორკესტრი, მუშაობდა კარუსელი, მოეწყო მასობრივი თამაშობანი ჯილდოზე, კლუბის ფოიეში გაიმართა ცეკვები, ადგილობრივი რადიოკვანძით გადაცემულ იქნა ხალხური სიმღერები. ქარხნის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა შეასრულა სხვადასხვა სიმღერები და ცეკვები, მათ შორის ცეკვა სიმღერით „მწყემსების ზეიმი მთაში“. მოეწყო ჭადრაკში ერთდროული თამაშის სეანსი — ქარხნის მუშებთან ერთდროულად 20 დაფაზე ითამაშა საერთაშორისო ოსტატმა ჭადრაკში ვ. გოგლიძემ.

მუშები იშენებენ საცხოვრებელ სახლებს

მწვანეში მოჩანს პატარა ლამაზი სახლები. ბევრი მათგანი ეკუთვნის თბილისის კამოლლმაუდის კომბინატის წარმოების მუშაკებს. აქ სახლები აიშენეს ოსტატმა ა. გიორგობიანმა, ოსტატის თანაშემწემ ვ. გოგინაშვილმა და სხვებმა. ახლა საცხოვრებელ სახლებს იშენებს კომბინატის 24 მუშაკი.

თბილისში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა. მარტო შარშან სახლები აიშენა 300 მუშამ და მოსამსახურემ. წელს თბილისის ინდივიდუალურ მენაშენეებს სახელმწიფო მისცემს 2 მილიონ მანეთ გრძელვადიან კრედიტს.

ქართული ეროვნული კულტურის განძები

ქართული ლიტერატურის ძეგლებს სამართლიანად უჭირავს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ჩვენი დიდი ქვეყნის კულტურის საგანძურში. ამიტომ შეძთხვევითი როდია, რომ დიდი მეცნიერები და ლიტერატორები დიდიხანია მზრუნველობით და გულმოდგინედ აგროვებენ და სწავლობენ საქართველოს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. ეს მუშაობა ლენინგრადშიც წარმოებდა და წარმოებს.

და აი დღეს ჩვენ იმის მოწმენი ვართ, თუ როგორ ეცნობიან აქ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი წიგნთსაცავის — მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებში ფილოლოგები, ისტორიკოსები, სხვა სპეციალობათა მეცნიერები ქართული კულტურის უნიკალურ და იშვიათ ძეგლებს.

ბიბლიოთეკაში ჩვენ შევხვდით ქართველ მეცნიერს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტს ალექსანდრე ღლონტს. იგი აღტაცებულია ქართველი ხალხის კულტურის აქ შეგროვებული ძეგლებით.

— განა საკვირველი არ არის, რომ ეს განძები სწორედ აქ — რუსეთის ქალაქის ბიბლიოთეკაში ინახება! განა ეს არ მოწმობს ქართველი ხალხისა და რუსი ხალხის ძველთაგანვე მომდინარე კულტურულ ურთიერთობას! — თქვა მან.

ყოველ მკვლევარს სიტყვით გამოუთქვამელი, მარტო მისთვის ნაცნობი მდელვარება იპყრობს ყოველთვის, როცა იგი თავისი ძიების დროს წააწყდება რაღაც ახალს, იშვიათს, რაც შეავსებს მის წარმოდგენას შესასწავლ საგანზე.

ადვილი გასაგებია ალექსანდრე ღლონტის აღტაცება და მღელვარება, როცა მან თავის ხელში აიღო ძველი ხელნაწერები და წიგნები, რომლებიც უძველეს ქართულ ბიბლიოთეკებშიც კი არ შემონახულა.

— აქ კი არის! — ამბობს ქართველი მეცნიერი და თვალები უბრწყინავს.

იგი აღტაცებულია იმით, თუ რა მზრუნველად ინახება აქ ყოველივე ეს. აი, მაგალითად, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის უიშვიათესი ეგზემპლარი. ამ წიგნის დაბეჭდვიდან გასულ ასეულ წლებში ქაღალდმა სიმტკიცე დაკარგა. იგი დიდი ხანია დაიშლებოდა, მზრუნველი რესტავრატორები რომ არა. მათ თვითეული ფურცელი გაუღლინეს განსაკუთრებული ქიმიური შემადგენლობით, რომელმაც ქაღალდს სიმტკიცე დაუბრუნა, და, გარდა ამისა, ფურცლებს დაუწყეს სიფრიფანა ნატურალური აბრეშუმი. ახლა ეს ეგზემპლარი რუსთაველის უკვდავი ქმნილებისა კიდევ მრავალ საუკუნეს გაძლებს.

— მე ვიცოდი, რომ ლენინგრადში ინახება ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი კრებული, — ამბობს ალექსანდრე ღლონტი. — მაგრამ იმან, რაც აქ ვნახე, ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. საკმარისია ითქვას, რომ აქ 400-ზე მეტი იშვიათი ქართული ხელნაწერია. გარდა ამისა, აქ შეკრებილია ყველა ნაბეჭდი გამოცემა, რაც კი ოდესმე გამოსულა ქართულ ენაზე. ეს გამოცემები ორმოც ათასზე მეტია. ახლა მე ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაზე ვმუშაობ. ჩემთვის პირდაპირ შეუძლებელი იქნებოდა ასე სრულად მომეხდინა ყველა გამოკვლევა, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკით რომ არ ვსარგებლობდე, რომ არ მეხმარებოდნენ მისი მეცნიერი თანამშრომლები, კერძოდ, სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის განყოფილების გამგე ანდრია ზაქარიას-ძე აბრამიშვილი.

ა. აბრამიშვილს კარგად იცნობენ არა მარტო ქართველები, არამედ იცნობს ყველა მკვლევარი, რომელსაც კი ოდესმე დასჭირვებია მიმართა მისთვის. ეს არის ლიტერატურის კარგი მცოდნე, შესანიშნავი ბიბლიოგრაფი. მასთან საქმე აქვთ ხოლმე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს — უაზაბებს, ლიტველებს, უირგიზებს, იაკუტებს, ესტონელებს. ა. აბრამიშვილი რამდენიმე ენას ფლობს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ წარსულში იგი მწყემსი იყო გურჯაანის რაიონში. მაგრამ უკვე ჩვიდმეტი წელია, რაც აბრამიშვილის ცხოვრება განუწყვეტლივ დაკავშირებულია ლენინგრადთან და მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასთან. მან აქ მუშაობა დაიწყო რიგით ბიბლიოთეკარად და გახდა განყოფილების გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ამ წლების მანძილზე იგი არა მარტო თვითონ გაიზარდა; მის თვალწინ გაიზარდა ბევრი მეცნიერი — მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა წარმომადგენლები.

შეფასებაც კი ძნელია, თუ რამდენ დიდია მნიშვნელობა სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის განყოფილებისა, რომელსაც ა. აბრამიშვილი ხელმძღვანელობს. საკმარისია ითქვას, რომ აქ თავმოყრილია წიგნები 85 ენაზე, ამასთან ხშირად უიშვიათესი, ზოგჯერ უნიკალური წიგნებიც კი, რომლებსაც სხვაგან ვერსად ვერ ნახავთ. ამრიგად, ეს განყოფილება ცოდნის თავისებური საგანძურია მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნისათვის.

ასეთივე აზრისაა ალექსანდრე ღლონტიც.

— მე ფილოლოგი ვარ, — ამბობს იგი, — მაგრამ ვხედავ, რომ გვერდით როგორ შრომობენ ისტორიკოსები, ბიოლოგები, ინჟინრები, — სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ისინი სპეციალურად ჩამოდიან ლენინგრადში ტაშკენტიდან, აშხაბადიდან, იოშკარ-ოლადან. ძნელი სათქმელიც კია, რამდენი დისერტაციაა დაცული ამ განყოფილების ფონდების დახმარებით.

ეროვნული სტანდარტ... [illegible] ...ბიბლიოთეკა

[illegible] ...ბიბლიოთეკაში, — ამბობს ვ. აბრამიშვილი. [illegible] ...ბმა, დისერტაციას იცავს ეროვნულ რესპუბლიკათა 20-25 წარმომადგენელი.

მაგრამ, ბუნებრივია, განყოფილების ყველა მკითხველი როდია დისერტანტი. მრავალი ადამიანი მიმართავს განყოფილებას სხვადასხვა ცნობის მისაღებად, რომლებიც მათ მუშაობისათვის ესაჭიროებათ.

ა. აბრამიშვილი გვაცნობს თენგიზ თოდრიას, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომელს. იგი ლენინგრადში ჩამოსულა ქართული მედიცინის ისტორიისათვის მასალების შესაგროვებლად. თოდრია გულმოდგინედ სწავლობს ძველ ქართულ კარაბადინებს და ხელნაწერ სამედიცინო ლექსიკონებს.

თენგიზ თოდრია და ალექსანდრე ღლონტი ერთ მაგიდაზე მუშაობენ. ისინი ხშირად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთი აღმოჩენებით გამოწვეულ სიხარულს. ამას წინათ გამოვიდა ა. ღლონტის მიერ შედგენილი კრებული „ქართული ხალხური ნოველები“. ამჟამად იგი კრებულის მეორე ტომს ამზადებს. ბიბლიოთეკაში მან იპოვნა ქართული ხალხური ზღაპრების უძველესი გამოცემები და სხვა ძვირფასი მასალები.

მეცნიერებისა და კულტურის ბევრი ქართველი მოღვაწე — პეტერბურგში, შემდეგ ლენინგრადში მუშაობდა. ყველა მათგანი სარგებლობდა ამ განყოფილების ფონდებით. განყოფილება დიდ როლს ასრულებს ქართული კულტურის განვითარებაში. საასურველია, რომ მისი განძები ადამიანთა რაც შეიძლება ფართო წრის, კერძოდ ახალგაზრდობის კუთვნილება გახდეს.

ვ. იუნოშევა,
ო. ქარიშევი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტები.

აგიტატორი მინდვრად...

სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა. წლითიწლობით მაღლდება მშრომელთა ცხოვრებისა და კულტურის დონე. ამას ნათლად დადასტურებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა მეხუთე ხუთწლედში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ.

ეს ცნობა მოწმობს, რომ მეხუთე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის წარმატებითი განვითარება ახალი ეტაპი იყო საქართველოს სსრ ეკონომიკის, კულტურისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის გზაზე.

მზიური აჭარის კოლმეურნეები, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას მეხუთე ხუთწლედის შედეგების შესახებ. მოპოვებული საამაყო მიღწევები მათ განუმტკიცებთ მომავლის რწმენას და მატებს ენერგიას მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

როგორც კი ხულოს რაიონის სოფელ დეკანაშვილების „მეთვრამეტე პარტყრილობის“ სახელობის კოლმეურნეობაში მიიღეს ახალი გაზეთი, რომელშიც დაბეჭდილია სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სტატისტიკური სამმართველოს ცნობა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შესახებ, აგიტატორი ნოდარ ჩოგაძე პირველ ბრიგადაში გაჩოცხადდა. ბრიგადის წევრები შეკრიბა და მათ წაუკითხა ცნობა მეხუთე ხუთწლედის შედეგებზე.

სურათზე: აგიტატორი ნ. ჩოგაძე გაზეთს უკითხავს ბრიგადის წევრებს.

ფოტო შ. გოკაძისა.



სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიული სამმართველოს მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): საჰაერო ხომალდის მეთაური ნ. თომაძე, შტურმანი ლ. კუჭუხიძე, ბორტმექანიკოსი მ. ჩაპლიგინი, რადისტები ი. გუსევი, ა. ბერიაშვილი, რაზმის უფროსის მოადგილე ნ. გახოკიძე, ესკადრილიის მეთაური პ. ავაკიმოვი, საჰაერო ხომალდის მეთაური რ. ღარიბიანი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ბოლო ვარდები

გულნარა კასაბაშვილი

დღითიდღე ფართოვდება და მტკიცდება კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და უცხოეთის ქვეყნებს შორის, რომელშიც გარკვეულ როლს ასრულებს ტურიზმი. ჩვენი ქვეყანა სტუმართმოყვარულად იღებს საზღვარგარეთელ ტურისტებს. თავის მხრივ ხშირდება საბჭოთა მოქალაქეების ტურისტული მოგზაურობა უცხოეთის მრავალ ქვეყანაში. ამ დღეებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტურისტული მოგზაურობიდან თბილისში დაბრუნდა ქართველ ტურისტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ მუშები და მოსამსახურეები, ჟურნალისტები და არქიტექტორები. მათ ორი კვირის განმავლობაში მოიარეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები, ეცნობოდნენ რესპუბლიკის ღირსშესანიშნავ ადგილებს, უშუალოდ ხვდებოდნენ გერმანელ მოქალაქეებს. ამ დაუვიწყარმა მოგზაურობამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართველ ტურისტებზე.

ქვემოთ ვბეჭდავთ ქართველ ტურისტთა ამ ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის, ჩვენი გაზეთის მუშაკის გულნარა კასაბაშვილის ჩანაწერებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის შესახებ.

კაცი თითქოს ორჯერ მოგზაურობს ერთ და იმავე ადგილებში. ერთხელ — როცა დადის და საკუთარი თვალით ხედავს ყველაფერს, მეორედ კი — როცა დაჯდება და გონების თვალით გადაფურცლავს ნახულსა და გაგონილს. მაშინ თვალწინ ეხატება ნაცნობი ადგილები, ადამიანები, ამბები, და შთაბეჭდილებებით თავბრუდახვეულმა არ იცის, რომელი ერთი გაიხსენოს: პატარა გოგონა ხოზე მარია ბერლინიდან, 750 წლის ჭაღარა დრეზდენი, რომელიც საიუბილეოდ პატარძალივით მოერთოთ ამ დღეებში, თუ ვაიმარი, სადაც ათეული წლების მანძილზე ორ უზარმაზარ ლამპრად ენთო დიდი გერმანელი პოეტების გოეთეს და შილერის გენია.

ვინც უცხო მხარეში ყოფილა, ადვილად მიხვდება რა გრძნობა შეიპყრობდა თვითეულ ჩვენგანს, როცა ჩვენი სამშობლოს საზღვარი გადავლახეთ.

ვარშავა... ლექსებისა და სიმღერების ქალაქი, მიცკევიჩისა და შოპენის შთაგონების წყარო. აქაც ისეთივე გაზაფხულია, როგორიც ჩვენში, მზე ისევე აცხუნებს, ისევე ხარობენ უჩვეულოდ ტანაყრილი ისამნის ხეები. მხარზე ჩანთაგადაკიდებული ბიჭუნები ერთად მიიჩქარიან სკოლისაკენ. შორიდანვე ვხედავთ სტალინის სახელობის კულტურის დიდებულ სასახლეს.

ერთი საათიც არ დაგვიყვია ვარშავაში, მაგრამ ეს დროც საკმარისი იყო იმისათვის, რომ მთელი გულით გვეგრძნო დამხვდურთა მეგობრული განწყობილება, გარსმოხვეული ხალხი ცნობისმოყვარეობით გვიმზერდა, პატივისცემით გვეპყრობოდა.

სადგურის კიოსკში ერთი მოხუცი იდგა, გაზეთებს ყიდდა. ერთხანს გვიცქირა, გვიცქირა და მერე, თითქოს კარგი ნაცნობი ენახოსო, სახეგაბრწყინებული შემოგვეგება:

— საბჭოთა კავშირიდან? მთიელები ხართ? (უნდოდა ეთქვა, ქართველებიო). გიცანით, ჩემი სახელი შტეფანია. ოდესღაც, ორმოცდაათი წლის წინათ, მე თბილისში ვიყავი. ვიცი რუსთაველი, თამარი... სწორად არ ვამბობ? — დაეჭვებით შეგვეკითხა მოხუცი და, თითქოს ვიღაცა დაინახაო, გულდაწყვეტილმა წარმოთქვა — ეჰ, რა ლამაზები არიან ქართველი ქალები!

ერთ-ერთმა ჩვენგანმა შტეფანს გულზე ვარდი მიაბნია — ო! — კმაყოფილებით აღმოხდა მოხუცს, — ეს ვარდები ალბათ გერმანელ მეგობრებთან მიგაქვთ საჩუქრად. ეს ძალიან კარგია. ამბობენ, წითელ ვარდს სიყვარული მოაქვსო, ჩვენს ხალხებს კი უნდა უყვარდეთ ერთმანეთი!

მოხუცმა შტეფანმა მატარებლამდე მიგვაცილა და, თითქოს ეშინოდა არ დაგვიწყებოდა, დიდხანს გვიძახდა: — აჩუქეთ წითელი ვარდები გერმანელ მეგობრებს!

როცა ოდერი გადავლახეთ, ჩვენს წინ გაიშალა გერმანელი ხალხის დიდი მიწაწყალი, წაბლისხის ტყეები. სამტრედეებივით მოჩანდა ფერადი კრამიტით გადახურული გოთური სტილის სახლები.

... კიდევ რამდენიმე სადგური, და ბერლინში ვიქნებით.

ახალი გერლინი

მოხუცი შტეფანი მოგვაგონდა, როცა ბერლინის სადგურზე ჩვენს დასახვედრად მოსულ გერმანელ ამხანაგებს ყვავილების თაიგულები დავუნახეთ ხელში. ბერლინიც წითელი ვარდებით შეგვეგება. ჩვენ მოვიხიბლეთ მწვანე ნარგავებში ჩაფლული მისი განიერი ქუჩებითა და ლამაზი მოედნებით. შენობებს კი ჯერ ისევ იარებივით აჩნევიათ ნატყვიარები. ომის კვალი კვლავ ატყვია ბერლინს. დადიხარ ქალაქში, და გგონია, რომ ქუჩების მდინარეებში ხარ მოქცეული. ნიაღვარივით მოედინებიან მანქანები, ქუჩები სავსეა ხმაურით, სიცილით, შეძახილებით. ახალგაზრდებს ერთმანეთისათვის ხელი გადაუხვევიათ და სიმღერით მიდიან ქუჩაში.

ეს ახალგაზრდები დღეს მართლაც საკუთარი ცხოვრების გამგებელნი არიან.

დილით კი საოცრად უკაცრიელი ჩანს ბერლინი, განსაკუთრებით თუ კვირადღეა. შაბათის ნაშუადღევიდან ბერლინელები ქალაქგარეთ ისვენებენ.

ჩვენს განკარგულებაშია ორი დღე. ჩვენს ჯგუფში შემავალი ტურისტები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან. ერთი ქარხნისაკენ იწევს — ინჟინერია, მეორე არქიტექტორია — ქალაქი აინტერესებს, მესამეს — საბავშვო ბაღი და სხვ. მაგრამ იუმორითა და სიცოცხლით აღსავსე სამოც წელს მიღწეული ვილჰელმი თითქოს ყველას უსრულებს თხოვნას. ეს იყო ჩვენი ექსკურსიამძღოლი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. — ძალიან გვიყვარს ჩვენი დედაქალაქი, — გვიამბობს ვილჰელმი, — თუმცა ყუმბარებმა მოსპო და ცეცხლმა შთანთქა კულტურის მრავალი ძეგლი და ბევრი მშუნარება მოგვიტანა. ახლა ზოგიერთები, სწორედ ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის წარსულ უბედურებებში, ცდილობენ დედაქალაქის დასავლეთი სექტორები გერმანულ ჩიკაგოდ გადააქციონ, მაგრამ ჩვენ, გერმანელები, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ვგრძნობთ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანების აუცილებლობას და სულით და გულით გვსურს ეს გაერთიანება.

დემოკრატიული სექტორის ბერლინელები თავდადებით იღწვიან იმისათვის, რომ საქმით დაამტკიცონ ეს სიტყვები. რამდენიმე წლის განმავლობაში მათ უკვე აღადგინეს ისეთი შესანიშნავი არქიტექტურული ქმნილებანი, როგორიც არის „ოპერა“ და „ლინდენოპერი“. გააშენეს სტალინის ხეივანი. ეს არის პირველი სოციალისტური ქუჩა ბერლინში, ყველაზე ლამაზი თავისი თეთრი ფილებით მოპირკეთებული საცხოვრებელი კვარტალებით, ბაღნარებით სახურავებზე. ცისარტყელასავით გადაჭიმულა მდინარე შპრეეზე ახალი ხიდი.

მიაბიჯებ თვალწარმტაც უნტერ დენ ლინდენზე, ხედავ ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, სკოლებსა და თეატრებს, ოცოცხალ სინამდვილეს — იმას, რაზეც ოცნებობდნენ ჰაინე, შილერი, გერდერი, და არსად არც ერთ ჩვენგანს არ შეუმჩნევია არისტოკრატი მუქთახორები. აღარც ყველასაგან მივიწყებულ გლახას ხვდები სადმე, გლახას, რომელიც ასე ოსტატურად გადმოჰქონდა ქაღალდზე მუშათა კვარტალების მხატვარს ჰენრიხ ცილეს. ჩვენ ვნახეთ ბერლინის აღდგენილი თეატრი. იმ დღეს აქ უჩვენებდნენ ხაჩატურიანის ბალეტ „გაიანეს“. ამ თეატრის მხარმარცხნივ კინოთეატრია, სადაც ჩვენი იქ ყოფნის დროს უჩვენებდნენ საბჭოთა ფილმს „დაუმთავრებელ ამბავს“. ფილმს უთბრავი მსყურებელი ეტანებოდა.

ვიყავით ტრეპტოვარ პარკში, სადაც აღმართულია ძეგლი საბჭოთა მებრძოლების ხსოვნის უკვდავსაყოფად. აკლდამაში შევხვდით გერმანელს, რუსს,

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

ერთობლივი კომუნიკე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვისა და ეგვიპტის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის გამალ აბდელ ნასერის მოლაპარაკებების შესახებ

1956 წლის 16-22 ივნისს ეგვიპტის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით კაიროში იმყოფებოდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი. ეგვიპტეში ყოფნის დროს მას მოლაპარაკება ჰქონდა ეგვიპტის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან გამალ აბდელ ნასერთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ სსრ კავშირის ელჩი ეგვიპტეში ე. დ. კისელოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და ძუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე გ. ტ. ზაიცევი. ეგვიპტის მხრივ— საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ფავზი და პრემიერ-მინისტრის კაბინეტის დირექტორი ალი საბრი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა. მოხდა აზრთა ფართო გაზიარება საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობის საკითხებზე და მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა და პრემიერ-მინისტრმა გამალ აბდელ ნასერმა კმაყოფილებით აღნიშნეს შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა საკითხში, რომელიც განხილულ იქნა მოლაპარაკების დროს. მათ აღიარეს, რომ საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობის განვითარება პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის ყველა დარგში შეესაბამება ორივე ხალხის ინტერესებს და არსებითი წვლილია მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში. მოლაპარაკების მსვლელობაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა და პრემიერ-მინისტრმა გამალ აბდელ ნასერმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობა ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს და ბანდუნგის კონფერენციის მიერ მოწონებულ ცნობილ პრინციპებს. ისინი ადასტურებენ თავიანთ მისწრაფებას— განაგრძონ თანამშრომლობა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის, დარწმუნებული არიან, რომ ეს მეცადინეობა, აგრეთვე მშვიდობისადმი მისწრაფებით გამსჭვალული სხვა სახელმწიფოების მეცადინეობა ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

საბჭოთა მეზღვაურები ჩინეთში

შანხაი, 22 ივნისი. (საკდესი). მესამე დღეა შანხაიში მეგობრობის ვიზიტით იმყოფება წყნარი ოკეანის ფლოტის საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი. შანხაის ასობით მშრომელმა დაათვალიერა დღეს კრეისერი „დიმიტრი პოჟარსკი“ და საესკადრო ნაღმოსნები „ვდუმჩივი“ და „ვრაზუმიტელნი“. საბჭოთა მეზღვაურები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს. საბჭოთა მეზღვაურების დიდი ჯგუფი დღეს ათვალიერებდა ქალაქის სხვადასხვა ნაწილს, ეცნობოდა მის ღირსშესანიშნაობებს, იყო ისტორიულ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია შანხაის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლასთან თავისუფლებისათვის, გაეცნო შანხაის მშრომელთა წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

სამხედრო მეზღვაურებს აღფრთოვანებით შეხვდნენ შანხაელი პიონერები, რომლებმაც ყვავილების დიდი თაიგულები მაართვეს საბჭოთა სტუმრებს. საყვირისა და სიმღერის „მოსკოვი — პეკინის“ ხმაში, რომელიც პიონერთა ორკესტრმა შეასრულა, საბჭოთა მეზღვაურები წარმატაცი ხეივნით შევიდნენ პიონერთა მარმარილოს სასახლეში. მათ შანხაის პიონერებს გადასცეს ქალაქ ვლადივოსტოკის პიონერთა მხურვალე სალამი და საჩუქრები და მიიწვიეს ისინი სტუმრად კრეისერ „დიმიტრი პოჟარსკიზე“. შანხაელმა პიონერებმა საბჭოთა მეზღვაურებს სთხოვეს მათი საჩუქრები გადასცენ ვლადივოსტოკის პიონერებს.

საბჭოთა მეზღვაურების მეორე ჯგუფი დღეს ჩინეთის წარმატაც ჯანმრთელობის კერაში ქალაქ ხანჯოუში გაემგზავრა.

შანხაის სტადიონზე დღეს გაიმართა აგრეთვე ამხანაგური მატჩი ფეხბურთში საბჭოთა მეზღვაურების გუნდსა და ქალაქ შანხაის ნაკრებ გუნდს შორის. შანხაის სტადიონი ხუნკოუ ხალხით გაიჭედა. მატჩი მოიგეს შანხაელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 6:1.

საღამოს საბჭოთა მეზღვაურებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

უდიდესი წარმატება ჰქონდა აგრეთვე წყნარი ოკეანის ფლოტის მეზღვაურთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტს ჩინელ მეზღვაურთათვის.

დღეს საღამოს საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად მოეწყო დარბაზობა.

პეკინი, 22 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, შანხაიში საბჭოთა ხომალდების რაზმთან ერთად ვიზიტით ჩამოსული სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალი ვიცე-ადმირალი ვ. ა. ჩეკუროვი და ფლოტის სამხედრო საბჭოს წევრი კონტრ-ადმირალი ი. გ. პოჩუპაილო დღეს დილით სპეციალური თვითმფრინავით შანხაიდან ნანკინში ჩაფრინდნენ. მათ ახლდა აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის ფლოტის სარდლის მოადგილე კონტრ-ადმირალი პინ დე-ცინი.

პიონერებმა საბჭოთა სტუმრებს ყვავილთა თაიგულები მიართვეს. სტუმრებს მიესალმნენ გენერალ-ლეიტენანტი გო ხუა-ყო — ნანკინში დაბანაკებული სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილების სარდლის სახელით, აგრეთვე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები და ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლები.

ვიცე-ადმირალმა ჩეკუროვმა გვირგვინით შეამკო რევოლუციონერთა საფლავი იუხუტაის ბორცვზე, აგრეთვე ინახულა სუნ იატ-სენის მავზოლეუმი და გვირგვინით შეამკო იგი. 11 საათსა და 40 წუთზე ადგილობრივი დროით ვიცე-ადმირალი და მისი თანმხლები პირები პეკინში გაემგზავრნენ.

პეკინი, 22 ივნისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალი ვიცე-ადმირალი ვ. ა. ჩეკუროვი, ფლოტის სამხედრო საბჭოს წევრი კონტრ-ადმირალი ი. გ. პოჩუპაილო და ფლოტის სამხედრო ატაშე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ი. ზუდოვი.

საზაფხულო ჩანახატები



ლისის ტბა. მზე, ჰაერი, წყალი... ბუნების უველა ამ სიკეთით არის დაჯილდოებული ლისის ტბის მიდამოები. ამიტომაც იზიდავს იგი ათასობით თბილისელს, განსაკუთრებით შაბათ-კვირადღეებში.

ადამიანის უპირველესი მოვალეობა — შრომა, ჩვენში ღირსების საქმედ ქცეული, კიდევ უფრო გახალისებულია მოქალაქისათვის საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით — დასვენების უფლებით. მშრომელთა დასვენებისათვის კი ჩვენს სამშობლოში უველაფერი კეთდება. კულტურული დასვენების ერთ-ერთ კერას თბილისის ახლომახლო მიდამოებში ლისის ტბაც წარმოადგენს. მას უკანასკნელ წლებში ისეთი დიდი „მეტოქე“ გამოუჩნდა, როგორიც არის თბილისის ზღვა. ეგვიპტელ-ებგრამ თბილისელთა სიყვარული ლისის ტბისადმი [illegible] დება, არ მცირდება მისი მოლივლივე ტალღების, მისი ლამაზი სანაპიროების, მცხუნვარე მზისა და ლაღი ჰაერის მოტრფიალეთა რიცხვი.

აქ ეწყობა შეჯიბრებები ცურვაში, ნიჩბოსნობაში, აქ იღებენ ადამიანები მზისა და ჰაერის აბაზანებს, იკაუებენ სხეულს გრილი წყლით. ლისის ტბასთან არის დაკავშირებული მრავალი მცურავისა და ნიჩბოსნის პირველი ნაბიჯები; ვინ იცის რამდენ ბედნიერ ბავშვს შთაგონებს იგი — აირჩიოს მეზღვაურის პროფესია, იყოს საზღვაო ფლოტის თუ სამდინარო ფლოტილიის მამაცი მუშაკი.

საზაფხულო ჩანახატები

ზედაზენი მრავალ ტურისტსა და ექსკურსანტს იზიდავს საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების სხვადასხვა კუთხიდან. გარდა იმისა, რომ აქ ადამიანი ეცნობა მის ისტორიულ ადგილებს, იგი კარგადაც ისვენებს.

საზაფხულო ჩანახატები ლისის ტბასა და ზედაზენში გააკეთა მხატვარმა ი. კალაძემ.

უნგრეთ-კორეის კომუნიკე

ბუდაპეშტი, 21 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა კომუნიკე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის (რომელსაც მეთაურობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი) უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ. კომუნიკეში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ორივე მთავრობის წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ორი ქვეყნის პოლიტიკური, ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე იმ საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია კორეის გაერთიანებასთან, ევროპისა და აზიის უშიშროებასთან და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასთან. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ურთიერთმეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

მოლაპარაკების მსვლელობაში ორი ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კულტურულ შეთანხმებას, რომლის მიზანია ორი ხალხის შემდგომი ურთიერთ დაახლოება და მათ შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარება.

ორივე მხარემ მიიღო გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში დადონ გრძელვადიანი სავაჭრო ხელშეკრულება, აგრეთვე შეთანხმება საშეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

მოლაპარაკების მსვლელობაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა მადლობა გამოთქვა იმ მატერიალური და მორალური დახმარებისათვის, რომელსაც უნგრელი ხალხი კორეელ ხალხს უწევს სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და განვითარების საქმეში.

მოლაპარაკების დროს უნგრეთის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნგრეთის მთავრობა სავსებით იწონებს და მხარს უჭერს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებს კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისა და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივას მოწვეულ იქნას კორეის საკითხის გადაჭრით დაინტერესებულ სახელმწიფოთა კონფერენცია.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ უნგრეთსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სურთ ხელი შეუწყონ კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას, რომელმაც უნდა გამორიცხოს ახალი ომების შესაძლებლობა ევროპასა და აზიაში, აგრეთვე ხელი შეუწყონ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას.

მოლაპარაკებაში აგრეთვე გამოიხატა ის, რომ უნგრეთისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 22 ივნისი. (საკდესი). დღეს დილით პარიზის მელითონეთა სახლში გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 22 ივნისი. (საკდესი). დღეს გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: მუნიციპალური არჩევნების შედეგები და პოლიტიკური მდგომარეობა (მომხსენებელი ჯან კარლო პაიეტა) და პარტიის ეროვნული ყრილობის მოწვევა. მომხსენებელი პალმირო ტოლიატი.

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სოფია, 22 ივნისი. (საკდესი). 19 ივნისს გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის გიორგი ჩანკოვის ინფორმაცია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მე-7 სესიის მუშაობის შედეგების შესახებ.

ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა აგრეთვე ზოგიერთი ქალაქების წარმოებაში დაუსაქმებელი მუშახელის სამუშაოთი უზრუნველყოფის, საპენსიო საქმის გაუმჯობესების, სასადილოებში კვების გაიაფების საკითხები და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქმიროდ ცნო გადადდეს 1956 წლის 1 აგვისტოდან მუშა-მოსამსახურეთა პენსიის მინიმალური თვიური ოდენობა.

გათვალისწინებულია აგრეთვე მოისპოს ზოგიერთი შეზღუდვა პენსიის გაცემის დროს, გათავისუფლდეს პენსია გადასახადებისაგან ორ წლის დამლევამდე მომზადდეს ბულგარეთში საპენსიო საქმის საერთო კანონის პროექტი.

მოკლედ

⊙ დიდი მუშაობა გაჩაღდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკში. ბავშვების გასართობად პარკში მოწყობილია კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, საცურაო აუზი, ქადრაკისა და შაშის პავილიონები, სხვადასხვა ატრაქციონები. ზაფხულის პერიოდში ბავშვები მოაწყობენ ექსკურსიებს, შეხვედრებს წარმოების ნოვატორებთან, მეცნიერებს, ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან.

⊙ თბილისის კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ დედაქალაქის ეკრანებზე გამოუშვა ახალი კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 16. ჟურნალის რედისორები არიან შ. ჩაგუნავა და ვ. ალავიძე, რედაქტორი — გ. მონავარდიშვილი.

⊙ ახალი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დამთავრდა შაუმიანის ქუჩაზე. სახლი ეკუთვნის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს. თელავის ქუჩაზე დამთავრდა მშენებლობა ახალი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლისა, რომელიც ეკუთვნის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტს.

⊙ პავლოვის ქუჩაზე დამთავრდა სავაჭრო ტექნიკუმის ხუთსართულიანი შენობის აგება. ტექნიკუმს აქვს 59 საკლასო ოთახი.

მოხუცი მონადირის მამაცობა

ლანჩხუთი. სოფელ ქვემო ჩიბათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა სამსონ გიორგის-ძე სარჯველაძემ ამახ წინათ მეცხოველეობის ფერმის მახლობლად მოკლა ძუ მგელი და დაიჭირა 4 ლეკვი. მამაც მონადირეს, რომელიც ამჟამად 80 წლისაა, სულ მოკლული ჰყავს 112 მგელი და 64 მგლის ლეკვი.

სურათზე: სამსონ სარჯველაძე შინ ბრუნდება დაჭერილი მგლის ლეკვებით.

ფოტო ე. შევარდნაძისა.

...

ზედაზენი მრავალ ტურისტსა და ექსკურსანტს იზიდავს საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების სხვადასხვა კუთხიდან. გარდა იმისა, რომ აქ ადამიანი ეცნობა მის ისტორიულ ადგილებს, იგი კარგადაც ისვენებს.

საზაფხულო ჩანახატები ლისის ტბასა და ზედაზენში გააკეთა მხატვარმა ი. კალაძემ.

სპორტის ამბები

★ ★

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის საჭადრაკო მატჩი

ბელგრადში გრძელდება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის საჭადრაკო მატჩი.

გათამაშდა 4 ტური. მე-4 ტურში კარაკლაიჩ-კორჩნოისა და ტრიფუნოვიჩ-ავერბახის პარტიები საინტერესო ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე გლიგორიჩ-ბოლესლავსკი, სმისლოვ-მილიჩი და პეტროსიან-ჯუტაშვილი. გროსმაისტერმა კერესმა პირველი დამარცხება განიცადა. მან წააგო პარტია მატანოვიჩთან. გელერმა მოუგო ივკოვს. ტიმანოვისა და უდოვჩიჩის პარტია გადადგა.

გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ მატჩის ანგარიშია 18,5:13,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

საბჭოთა კალათბურთელები ჩილში

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი, რომელიც სტუმრად იმყოფება ჩილში, ადგილობრივ გუნდებთან აწყობს საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებს. პირველი მატჩი გაიმართა სანტიაგოში სსრ კავშირისა და ჩილის ნაკრებ გუნდებს შორის. საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 59:59. მორიგი შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენებმა გამართეს ქალაქ ვალპარაისოს ნაკრებ გუნდთან და მოიგეს მატჩი ანგარიშით 73:45.

სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასი

მოსკოვი. 23 ივნისი. დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და სტალინოს „შახტიორის“ გუნდები. შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2 : 1.

მძლეოსანთა წარმატება

საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივები ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის. გუნდები წვრთნას გადიან მოსკოვში, თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ლესელიძეში.

მძლეოსანთა კოლექტივი იმყოფება ლესელიძეში. აქ მოეწყო უძლიერესთა გამოსვლები. მ. ქოჩლაძემ 80 მეტრი თარჯრბენით დაფარა 11,2 წამში და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. ლ. ანთაძემ 100 მეტრი გაიჭრა 10,6 წამში. ეს სსრ კავშირის ახალი რეკორდია 17-18 წლის ჭაბუკთა შორის. საქართველოს ახალი რეკორდი დამყარა ვ. ვაშაკიძემ. 3.000 მეტრზე რბენაში მან აჩვენა დრო — 8 წუთი და 45 წამი.

მძლეოსნური სპორტის სხვადასხვა სახეობაში კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს აგრეთვე ი. უშაკოვმა, ვ. ზახაროვმა, ნ. მაღლაფერიძემ, რ. ლოხოვმა, ა. მჭედლიშვილმა და სხვ.

ჭყე ცეცხლს გადაარჩინეს

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). ამას წინათ ქვედა ჩხოროწყუში ტყეს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი შეიძლებოდა გადასულიყო კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში, კოლმეურნეთა სახლებზე. მაგრამ მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად ენერგიულად იბრძოლეს სოფლის მაწყობელებმა ს. ბებიამ და ვ. კვარაცხელიამ, კოლმეურნეებმა შ. პაპასკირმა, დ. სორდიამ, ვ. კვარაცხელიამ და სხვებმა. მათ ჩაქრეს ხანძარი.

მშრომელთა მამაცობამ ტყე განადგურებას გადაარჩინა.

ახალგაზრდა პიგრიოვთა საღამო

ძერჟინსკის სახელობის კლუბის საზაფხულო პარკში (ციროვის ქ. № 13) 25 ივნისს, საღამოს 7 საათზე საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტი აწყობს საღამოს, მიძღვნილს იმ ახალგაზრდა პატრიოტებისადმი, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მოწოდებით მიემგზავრებიან ჩრდილოეთ ყაზახეთში მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებზე სამუშაოდ.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ეროვნული ქარდები

(გაგრძელება)

ქართველს, სომეხს. ამერიკელი ჯარისკაცები მოწიწებით იხდიდნენ ქუდს. იქვე იდგა ინგლისელი მეზღვაური და გაფითრებული დასცქეროდა გრანიტის ფილაზე დადებულ წიგნს. ამ წიგნის პერგამენტის ფურცელზე ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი იმ გმირთა სახელები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ფაშისტური დამონების საფრთხისაგან კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს.

ვდგავართ ბრანდენბურგის კართან. აქედან კარგად ჩანს ყორანივით ჩამაგებული რაიხსტაგი. მოლევარებით ვკითხულობთ წარწერებს, რომლებიც დღემდე შემორჩენია მის კედლებს, და გული სიამაყით გვევსება. ეს წარწერები საბჭოთა კავშირის ხალხების თითქმის ყველა ენაზეა. თითქოს მთელი ჩვენი ხალხი, ომით აწამებული, მაგრამ გამარჯვების შარავანდედით მოსილი, მოგვითხრობს თავის მძიმე და ძლევამოსილ ბრძოლებზე ფაშიზმის წინააღმდეგ.

მეგობრობის საღამო

საღამო ბანს მოგვიწვიეს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სასახლეში. ბერლინელ ამხანაგებს ქართველ ტურისტთა პატივსაცემად საღამო გაემართავთ. ჩვენს გვერდით ამ საზოგადოების წევრი, მხატვარი ქალი გერტნერ შოლ გელეკაროლა ზის.

— კაროლა წლების მანძილზე იტანჯებოდა ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკებში, — გვეჩურჩულება ვილჰელმი, თითქოს უფრთხილდება, ამ მოგონებამ ქალს გული არ ატკინოსო. მაგრამ კაროლა ახლა მშვენიერ გუნებაზეა. იგი მხიარულად მოგვმართავს: — მოდით ვიცეკვოთ, ვიმღეროთ! და უცებ ქართული სიმღერა „სულიკო“ წამოიწყო. გავვოცდით, როცა მას სუფრაზე მსხდომი დანარჩენი გერმანელებიც აჰყვნენ. მაგრამ ეს არ იკმარეს, ქართული ცეკვა მოითხოვეს და გაჩირაღდნებულ დარბაზში ქართველი ტურისტები დიდხანს ცეკვავდნენ „ქართულს“ გერმანელ ქალიშვილებთან. კაროლამ ჭიქა აავსო და მეგობრობის სადღეგრძელო შემოგვთავაზა. გაისმა შეძახილები: გერმანული „ფროინდშაფტ!“, ქართული „მეგობრობა!“

ჩვენ ვუყურებდით სიცოცხლით სავსე ბერლინელებს და ძალაუნებურად გვაგონდებოდა ის ბოროტი ხრიკები, რომლებსაც მათი ბედნიერი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართავდნენ ამერიკელი ხელისუფალნი დასავლეთ გერმანიიდან. ჩვენ ხომ საკუთარი თვალით ვნახეთ ის მიწისქვეშა კაბელი, რომელიც ჯაშუშობის მიზნით იყო გამოყვანილი დემოკრატიული გერმანიის ტერიტორიაზე.

მოგვაგონდა ბრანდენბურგის მიდამოებიც, და თვითეულ ჩვენგანს არ შეეძლო არ გაეფიქრა — განა არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს იმ ხალხთა ძმური ურთიერთობა, რომლებიც დღეს ასე ლაღად მღერიან, შრომობენ, იბრძვიან ადამიანის ყველაზე სანუკვარი ოცნების — მეგობრობისა და მშვიდობისათვის.

(დასასრული იქნება).

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში

ორშაბათს, 25 ივნისს, გაიმართება

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის წარმოდგენა

ი. დუნაევსკის

ლაღი ქარი

ოპერეტა 3 მოქმედებად

დაღგმა შოთა მეხსის, დირიჟორი მიხეილ ბორჩხაძე, ცეკვების დადგმა დ. მაჭავარიანისა, მხატვარი ი. შტენბერგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ქეთო და კოტე (დილას), ეიზელი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის (ჩრდილოეთ ოსეთის რუსული დრამის რესპუბლიკური თეატრის გასტროლები)** — ფატიმა (დილას), ქალბატონ დულსკაიას მორალი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, ისანი** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი** — დაღუპული ცხოვრება, **კოლხიდა** (საზამთრო), **დიდუბე** (საზამთრო), **კომეფურნე, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი, ვორკის სახელობის კულტურის სახლი** — საყვარელი სიმღერა, **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ეთერის სიმღერა, **თბილისი** — ქალიშვილი და მუხა, **კოლხიდა** (საზაფხულო) — მტრის კვალდაკვალ, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ბრძოლა ველზე, **დიდუბე** (საზაფხულო) — უწარსულო ქალი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — საყვარულის ასაკი.

დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი

(ყამოს ქ. № 34-36)

1956 წ. 6 ივლისს დღის 2 საათზე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ლიდა ანტონის ასული წულუკიძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Исследование химического состава и продуктов гидрогенизации масла томатных семян“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲜᲐ

ᲕᲐᲡᲝ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

ორშაბათს, 25 ივნისს, გაიმართება

ᲕᲐᲡᲝ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

ი. დუნაევსკის

ᲚᲐᲦᲘ ᲥᲐᲠᲘ

ოპერეტა 3 მოქმედებად

დაღგმა **შოთა მეხსის**, დირიჟორი **მიხეილ ბორჩხაძე**, ცეკვების დადგმა **დ. მაჭავარიანისა**, მხატვარი **ი. შტენბერგი**, საქართველოს სსრ ხელოვნების **დამსახურებული მოღვაწე**.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება.

ᲓᲦᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ — ქეთო და კოტე (დილას), ეიზელი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის (ჩრდილოეთ ოსეთის რუსული დრამის რესპუბლიკური თეატრის გასტროლები)** — ფატიმა (დილას), ქალბატონ დულსკაიას მორალი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, ისანი** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი** — დაღუპული ცხოვრება, **კოლხიდა** (საზამთრო), **დიდუბე** (საზამთრო), **კომეფურნე, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი, ვორკის სახელობის კულტურის სახლი** — საყვარელი სიმღერა, **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ეთერის სიმღერა, **თბილისი** — ქალიშვილი და მუხა, **კოლხიდა** (საზაფხულო) — მტრის კვალდაკვალ, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ბრძოლა ველზე, **დიდუბე** (საზაფხულო) — უწარსულო ქალი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — საყვარულის ასაკი.

ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ Ჯ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘ